

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2009, №7

გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

განსჯადობა

-სამოქალაქო განსჯადობა

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

# ბს-864-831(გ-08)

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. ბ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

08.10.07წ. ზ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სხვა სტრუქტურულ ერთეულების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ" თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 13.03.07წ. #10/02-01 ბრძანების შესაბამისად, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 23-ე-24-ე მუხლების მიხედვით გამოცხადდა კონკურსი ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამდებობების დასაკავებლად, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 3 შატატო ერთეულზე. მოსარჩელემ მიიღო მონაწილეობა კონკურსში, წარადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დამხმარე პერსონალთა შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და კონკურსით გამოცხადებულ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ" თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანებით დამტკიცებული #2 დანართით ზ. ბ-შვილს უარი ეთქვა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობის დაკავებაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1 შატატი დარჩა ვაკანტური. მოსარჩელე თვლის, რომ აღნიშნული ბრძანება უკანონოა, სადავო ბრძანება ეწინააღმდეგება "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 18.1 მუხლის "კ" ქვეპუნქტისა და 24.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რადგან იგი არ არის გამოცემული თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული "დამხმარე პერსონალის თანამდებობების დაკავების წესის" საფუძველზე. კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად: კონკურსს ატარებდა საკონკურსო კომისია, რომლის ფუნქცია კონკურსანტის პროფესიული ცოდნის, ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების ვაკანტურ თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასება და დასკვნის წარმოდგენა იყო. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ პირველი ეტაპი საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებით გაიარა და მიიღო დადებითი შეფასება. საკონკურსო კომისიის დასკვნით ზ. ბ-შვილმა ვერ გადალახა მე-2 ეტაპი, თუმცა წარუმატებლობის მიზეზი მისთვის არ უცნობებიათ. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომისიის მუშაობაში ექსპერტის სტატუსით მონაწილეობდა ეკონომიკისა და ბიზნეს ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ხელმძღვანელი, რომლის დასკვნის თანამად, მის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას გასცა მაღალპროფესიული, ამომწურავი პასუხები და თავისი ცოდნით შეესაბამება მთავარი სპეციალისტის თანამდებობას. მოსარჩელის განცხადებით, საკონკურსო კომისიის წევრთაგან არც ერთი არ იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო აქტის გამოცემის პროცესში უზრუნველყოფილი არ ყოფილა მისი მონაწილეობა და არ მიეცა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. აქტი გამოცემულია ზაკ-ის მე-12, მე-13, 75-ე, 86-ე, 95.2, 98-ე და 99-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. აქტის გამოცემისას დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის თავისუფლება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ზაკ-ის 92.2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის დარღვევით სადავო აქტის გამოცემი თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იმავდროულად იყო საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეც. სადავო ადმინისტრაციული აქტი არ შეიცავს თანამდებობაზე ზ. ბ-შვილის დანიშვნის შესახებ უარის წერილობით დასაბუთებას. მოსარჩელემ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესების დამტკიცების შესახებ" 18.04.07წ. #26/02-01 ბრძანებისა და მისი #1 დანართის არარად აღიარება, "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და კონკურსით გამოცხადებულ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ" თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანების, ზ. ბ-შვილის მიმართ მისი #1 და #3 დანართების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის ზ. ბ-შვილის საინფორმაციო ტექნოლოგიების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აქტის გამოცემის დავალდებულება და ზ. ბ-შვილისათვის მიყენებული ზიანის, მიუღებელი ხელფასის, ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.10.07წ. განჩინებით ზ. ბ-შვილის სარჩელზე, 18.04.07წ. #26/02-01 ბრძანების არარად აღიარებისა და 10.08.07წ. #234/02-03წ. ბრძანების კონკურსით გამოცხადებულ თანამდებობაზე დანიშვნის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე წარმოება შეწყდა დაუშვებლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ასკ-ის 25-ე მუხლით განსაზღვრული დასაშვებობის წინაპირობა ზ. ბ-შვილის აღიარებითი სარჩელის დასაშვებად ცნობისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელი იყო ზ. ბ-შვილის სარჩელი კონკურსით გამოცხადებულ თანამდებობაზე დანიშვნის ნაწილში სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან ეს აქტი პირდაპირ, უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს არ აყენებდა მოსარჩელის უფლებასა და კანონიერ ინტერესს. 25.10.07წ. განჩინებით ზ. ბ-შვილის სარჩელი ზ. ბ-შვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში მიღებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.11.07წ. განჩინებით ზ. ბ-შვილის სარჩელი თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 24.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. შესაბამისად, დამხმარე პერსონალთან მიმართებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიენიჭა სამსახურში მიღების წესის განსაზღვრის უფლებამოსილება, ხოლო ადმინისტრაციული კანონმდებლობა კონკურსის ჩატარებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არ ავალდებულებს. სადავო ბრძანება გამოცემული იყო შრომის კანონმდებლობის საფუძველზე, ბრძანებაში განთავსებული საფუძველად მითითებული იყო შრომის კოდექსის 37.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტი და 38.3 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების მოშლის გამო შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. დავა გამომდინარეობდა შრომის კანონმდებლობიდან. დამხმარე პერსონალის კონკურსის წესით სამსახურში მიღების ანუ შრომითი ურთიერთობის წარმოშობის შესახებ აღძრული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.06.08წ. განჩინებით საქმე განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სადავო კონკურსი დაინიშნა და ჩატარდა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის შესაბამისად. აღნიშნული კანონის 23.4 მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, თუმცა თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დამსაქმებელი შეზღუდულია სწორედ ამ კონკურსი შედეგებით. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომის კოდექსის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენდა მხოლოდ ჩატარებული კონკურსის ფორმალურ შედეგს, რაც არ ცვლიდა მოცემული დავის საგნის არსს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს აწესრიგებს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, რომელიც საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას განეკუთვნება. გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველად მოსარჩელე სწორედ კონკურსის ნაკლოვანებებზე უთითებდა. ბრძანების გასაჩივრებით მოსარჩელე სადავოდ ხდის უმაღლესი სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ კონკურსს, რომლის შედეგები ფორმალურად დამტკიცდა გასაჩივრებული ბრძანებით. სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ კონკურსის შედეგად სამსახურიდან დათხოვნის კანონიერების გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს კონკურსის ჩატარების კანონიერებაზე, რაც განსახილველ დავას ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას მიაკუთვნებდა, ვინაიდან კონკურსი ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ზ. ბ-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალი, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კოდექსით დადგენილი საპროცესო წესებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაწილში ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ახალი სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებით 2007 წლის 10 აგვისტოდან შეუწყდათ შრომითი ურთიერთობა დანართი #1-ით განსაზღვრულ პირებს, კონკურსის შედეგების საფუძველზე 2007 წლის 10 აგვისტოდან დაინიშნენ სამტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანართი #2-ით განსაზღვრული პირები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, 31-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამდენად, დავა გამომდინარეობს შრომის კანონმდებლობიდან. რაც შეეხება ბრძანებაში მითითებულ "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მუხლებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები. მითითებული კანონი განსაზღვრავს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ვაკანსიის დაკავების ერთიან წესებს. მოცემული კანონი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების აუცილებელ წინაპირობად ასახელებს ღია კონკურსს. რაც შეეხება დამხმარე პერსონალს, ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მისი სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის, ანაზღაურების ოდენობას და პირობებს ადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ამდენად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დამხმარე პერსონალთან მიმართებით მინიჭებული აქვს სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან გათავისუფლების უფლებამოსილება, ამ უფლებამოსილებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შრომის კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს. კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით იგი უფლებამოსილია, შექმნას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კომისია, რომლის მიზანია კონკურსანტის შესაბამისობის დადგენა ვაკანსიის მოთხოვნებთან. საკონკურსო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, როგორც შიდაორგანიზაციული აქტი, გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალების საფუძველზე და წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს, რომელიც მას ეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გადაწყვეტილებას იღებს დისკრეციის ფარგლებში, იგი მოქმედებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონისა და შრომის კანონმდებლობის საფუძველზე. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონი არ ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის ვაკანსიის კონკურსის წესით დაკავების ვალდებულებას. თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კონკურსის დანიშვნა და კონკურსანტების შერჩევა არ განხორციელებულა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 5.3 მუხლის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. შესაბამისად, ადმინისტრაციული კანონმდებლობა მოიცავს ადმინისტრაციული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით და სხვა ადმინისტრაციული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არ არის დაწესებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების საკონკურსო წესი, ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ აწესრიგებს თსუ-ს დამხმარე პერსონალის კონკურსის წესით დანიშვნის პროცედურას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტი არის

კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული შიდაორგანიზაციული ხასიათის აქტი, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კონკურსის გამოცხადება თავისთავად არ ადასტურებს საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, კონკურსის, როგორც არსებული ვარიანტებიდან ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის შესაძლებლობის, ჩატარებას ითვალისწინებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სამართლის კანონმდებლობა, საკონკურსო სამართალური თეორია შესაძლოა აღმოცენდეს როგორც საჯარო, ასევე, კერძო სამართლის სფეროში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელესა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შორის წარმოქმნილი ურთიერთობა არის სამოქალაქო-სამართლებრივი, კერძოდ, შრომის კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი დავა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 10.08.07წ. #234/02-03 ბრძანება წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან განთავისუფლებისა და სამსახურში მიღების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას და მისი საფუძვლიანობა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ზ. ბ.-შვილის სარჩელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1585-1539(გ-08) 29 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**მ. ცისკაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა გ. ი.-შვილის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 3 ოქტომბერს გ. ი.-შვილმა აღიარებითი სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ და მოითხოვა საქტელემაუწყებლობის თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის #126-ა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის არარად აღიარება და მორალური და მატერიალური ზიანის 20 000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით გ. ი-შვილის სარჩელზე შეწყდა საქმისწარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ი-შვილმა. კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 მაისის განჩინებით ცგ. ი-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 23 ოქტომბრის განჩინება გ. ი-შვილის სარჩელზე მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების 20 000 ლარის ოდენობით სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

2007 წლის 9 ოქტომბერს გ. ი-შვილმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა მატერიალური ზიანის 35 000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ი-შვილის სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ი-შვილმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებით გ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. თუმცა დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი საერთოდ არ არის მოხსენიებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

იმავედროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება ან პირი, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა.

ამრიგად, ვინაიდან აღნიშნული კანონი ადმინისტრაციულ ორგანოდ არ მიიჩნევს საზოგადოებრივ მაუწყებელს, შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თავმჯდომარის მიერ მოცემული ბრძანება ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანების კანონიერებასთან დაკავშირებული დავა (მოცემულ შემთხვევაში, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა), არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც წინამდებარე საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას მოქალაქესა და იურიდიულ პირს შორის, რის გამოც აღნიშნული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესითაა განსახილველი.

გ. ი-შვილმა, 2008 წლის 14 ნოემბერს და ამავე წლის 24 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მომართა (იგივე შუამდგომლობა დააყენა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე), რომლითაც სადავოდ გახადა საქმის განსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის საკითხი და მიუთითა, რომ მასსა და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის წარმოშობილი სამართალურთიერთობა განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი, დავა გამომდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლიდან რის გამოც, აპელანტის მოსაზრებით, მოცემული საქმე განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად უნდა გადასცემოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინების მოტივაცია და თავის მხრივ მიუთითა: აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა გამომდინარეობს არა პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან, არამედ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ დავას ფიზიკურ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს (სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის ადმინისტრაციას) შორის, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და მიმართულია განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის ადმინისტრაციის) გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისკენ. ანუ, კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასწორად გამოცემული ბრძანების გაუქმება, რასაც პროცესუალურად პასუხობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გააჩნია მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების სახეები: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში, მხარე ასაჩივრებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის შესაფასებლადაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მაკვალიფიცირებელი ნორმების გამოყენება იქნება კანონსაწინააღმდეგო, ვინაიდან, პალატის მოსაზრებით, სასამართლომ საქმის განხილვისას ყურადღება უნდა მიაქციოს რამდენად სწორად გამოსცა სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის ადმინისტრაციამ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქმე გ. ი-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ -განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავა, რის შედეგადაც მიიჩნევს, რომ გ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

მოსარჩელე გ. ი-შვილის მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს, რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას, მაგრამ იმავდროულად საკასაციო სასამართლო ამ უკანასკნელის ყურადღებას მიაქცევს "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონზე, რომლის I მუხლის "თ" პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნება -საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება ან პირი, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლობისა.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის I მუხლის "3" ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლობა არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერდომოაუწყებლობისათვის შექმნილი საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

ამდენად, მიუხედავად "საზოგადოებრივი მაუწყებლობის" ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმისა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ, ვინაიდან ის კანონები, რომლებიც აღნიშნულ ორგანოსთან დაკავშირებით იძლევა სპეციალურ რეგულაციებს, გამორიცხავენ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევის შესაძლებლობას.

როგორც აღინიშნა, წინამდებარე სარჩელი მიმართულია "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ, სარჩელით ფიზიკური პირი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. ამდენად, სამართალსუბიექტურობის თვალსაზრისით, სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტებს არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამორიცხავს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესებით განხილვის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო ადასტურებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობის მართებულობას და მიაჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. ი-შვილის სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1735-1689(გ-08) 26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა თ. გ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 27 ოქტომბერს თ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე დიდუბის რაიონის მმჩის ბიუროს მიმართ, აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ა. გ-შვილსა და ი. ბ-მეს შორის 1991 წლის 26 იანვარს რეგისტრირებული ქორწინების ჩანაწერის ამსახველი დოკუმენტის დედნის გამოთხოვას და აღნიშნული ქორწინების აქტის ბათილად ცნობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინებით თ. გ-შვილის სასარჩელო განცხადება საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, არანებყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების საქმე. ამ საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქორწინების აქტი არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან იგი არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ელემენტებიდან ერთ-ერთს, იგი არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, მას საფუძველად უდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც აწესრიგებს ქორწინების წარმოშობა-შეწყვეტას და მის სამართლებრივ შედეგებს; დავის საგანს ასევე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; მოსარჩელო არ ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან რაიმე ქმედების განხორციელებას, აქტის გამოცემას ან ზიანის ანაზღაურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც წინამდებარე საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიას, რის გამოც აღნიშნული დავა განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინების მოტივაცია და, თავის მხრივ, მიუთითა: ქორწინების რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 43-ე მუხლის შესაბამისად, ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია ამ კოდექსის მე-14, მე-15 და მე-18 მუხლებით დაწესებული პირობები და, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ ქორწინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქტიური ქორწინება). აღნიშნული მუხლებით ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველად დადგენილ პირობებს კი მიეკუთვნება დასაქორწინებელ პირთა თანხმობის არარსებობა, საქორწინო ასაკს -18 წელს მიუღწევლობა, დაქორწინება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან, პირდაპირი აღმავალი და დადმავალი შტოს ნათესავებს შორის, ღვიძლ და აგრეთვე არაღვიძლ დასა და ძმას შორის; მშობლებსა და ნაშვილებს შორის; იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად. კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად არც ერთი ზემოაღნიშნული სამოქალაქო-სამართლებრივი პირობა არ არის მითითებული.

განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი ხსენებული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, დაქორწინება ფორმდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. ამავე კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-

მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული დაქორწინება. განსახილველი სამართალურთიერთობის წარმოშობის პერიოდში ქორწინების რეგისტრაციის წესსა და პირობებს არეგულირებდა "საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის #133 დადგენილება.

აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე, სასამართლოს განმარტებით, ქორწინების საფუძველზე მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობისათვის აუცილებელია მისი რეგისტრაცია მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოში და მიიჩნია, რომ ქორწინების ჩანაწერის დაფიქსირებისას ადგილი აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ქმედებას, სააქტო ჩანაწერის განხორციელების სახით, რომლის გარეშეც ქორწინება არ იქნის სამოქალაქო-სამართლებრივ მნიშვნელობას. აღნიშნული ქმედების შედეგად განხორციელებული ჩანაწერი კი, თავის მხრივ, განხილულ უნდა იქნეს, როგორც ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, ამასთან, ასეთის გამოცემისას მმჩის ბიუროს საქმიანობა ემსახურება სახელმწიფოებრივ მიზანს და მიიჩნევა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით საქმე თ. გ-შვილის სარჩელის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. გ-შვილის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას, რის გამოც, საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს მითითებულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმეში წარმოდგენილი სარჩელის შინაარსი ცხადყოფს, მოსარჩელე თ. გ-შვილის მოთხოვნას წარმოადგენს ქორწინების ჩანაწერის ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა მისი აწ გარდაცვლილი ძმის ნების საწინააღმდეგოდ (მისი ნებს გააყალბეს).

მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, არ დაეთანხმოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოტივაციას დავის ადმინისტრაციული სასამართლოსათვის დაქვემდებარების თაობაზე და, თავის მხრივ, განმარტავს შემდეგს: საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტს, რომელიც მოწესრიგებულია სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით. საგულისხმოა, რომ როგორც სადავო რეგისტრაციის პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა, ისე დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქორწინების ბათილობის საერთო საფუძველებს, კერძოდ, ქორწინება უნდა გამოცხადდეს ბათილად: დასაქორწინებელ პირთა თანხმობის არარსებობისას; საქორწინო ასაკის მიუღწევლობის შემთხვევაში; იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი დაქორწინებული იყო სხვა პირზე; პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, ღვიძლ და, აგრეთვე, არაღვიძლ დასა და ძმას შორის; მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ მიჩნეულია არაქმედუნარიანად.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ქორწინების ბათილობის ზემოაღნიშნულ საფუძველებს და მიიჩნევს, რომ მითითებული საფუძველებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს მიეკუთვნება ქორწინების ნებაყოფლობითი ხასიათი, რაც გამორიცხავს ქორწინებას ნების არარსებობის შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ წინამდებარე სარჩელი, როგორც უკვე აღინიშნა, ემყარება სწორედ იმ არგუმენტს, რომ ქორწინება რეგისტრირებულია ერთ-ერთი პირის ნების არარსებობის პირობებში, კერძოდ, ნების გაყალბების გზით. ამდენად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, არსებობდა თუ არა რეგისტრა-

ციის მომენტში დასაქორწინებელ პირთა ნება და ქორწინების ბათილობის სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები.

მითითებული მოტივაცია საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ დავა არ გამომდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან, არ ემყარება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, რაც გამორიცხავს წინამდებარე სარჩელის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსჯადობით დაქვემდებარების პროცესულურ შესაძლებლობას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, 26.3 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. თ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1738-1691(გ-08) 6 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე მ. მ-ვას სარჩელის გამო, მოპასუხეების -საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და შპს "ჟოკეი-კლუბის" მიმართ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 22 თებერვალს მ. მ-ვამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და შპს "ჟოკეი-კლუბის" მიმართ და მოითხოვა მოსარჩელისათვის საკომპენსაციო თანხის 12500 აშშ დოლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, აფხაზეთში მომხდარი მოვლენების გამო, მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი. საცხოვრებლად რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, "იპოდრომზე", ოჯახი ... სს "სახალხო ბანკის" საბურთალოს რაიონში იღებს ლტოლვილთათვის განკუთვნილ დახმარების თანხას. დევნილობის დღიდან სხვაგან რეგისტრირებული არ ყოფილა და არც სხვა საცხოვრებელი ადგილი გააჩნია. 2006 წლის ივნისში ინვესტორთან დადებული გარიგების გამო, კომპენსაციის სახით 12500 აშშ დოლარის სანაცვლოდ მოხდა კოტეჯებიდან დროებით საცხოვრებლად განთავსებული პირები გაიყვანეს, მაგრამ მოსარჩელეს კი საკომპენსაციო თანხა არ მიუღია.

მოსარჩელის მითითებით, "იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის 5.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, რომელიც განსაზღვრავს კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების პირობებს, მოსარჩელის მიმართ არ არსებობდა, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, იგი გამოსახლებულ იქნა კომპაქტური განსახლების ადგილიდან. შპს "ჟოკეი-კლუბის" 2006 წლის 15 ნოემბრის #36 ცნობის მიხედვით, მ. მირცხულავა ჩაწერილი იყო "იპოდრომზე", მაგრამ საკომპენსაციო თანხა არ მიუღია იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ფაქტობრივად არ ცხოვრობდა რეგისტრაციის ადგილზე. აღნიშნული არ გაიზიარა მოსარჩელემ და მიიჩნია უკანონოდ, რადგან "დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის 1<sup>1</sup> მუხლის

“ვ” პუნქტის თანახმად, დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილია დევნილის რეგისტრაციის ადგილი - დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ან ის ადგილი, სადაც შესახლებულია დროებით.

მოსარჩელის მითითებით, იგი საცხოვრებლად საქართველოს ფარგლებს გარეთ გასული არ ყოფილა, დევნილის სტატუსი არ ჰქონია მოხსნილი და არც სხვა რაიონში ყოფილა დევნილად რეგისტრირებული, ხოლო ის გარემოება, რომ მოსარჩელე დღე-ღამის სრული 24 საათი, ან კვირის სრული 7 დღე არ იმყოფებოდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, რადგან ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად უწევდა რამოდენიმე დღით თბილისიდან გასვლა, არ აძლევდა შპს “ჟოკეი-კლუბს” იმგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მ. მ-ვა ფაქტობრივად არ ცხოვრობდა ჩასახლებისა და რეგისტრაციის ადგილზე.

მოსარჩელის მითითებით, “ლტოლვილთა შესახებ” საქართველოს კანონის 5.2 მუხლის თანახმად, დროებით საცხოვრებელ ადგილზე უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, აღნიშნულ უფლებებს განეკუთვნება დევნილის უზრუნველყოფა დროებითი საცხოვრებელი ადგილით, საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანა კი დასაშვებია მხოლოდ კომპენსაციის სანაცვლოდ, რაც მოსარჩელეს არ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 მაისის საოქმო განჩინებით მ. მ-ვას სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, საკომპენსაციო თანხის 12500 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ ცნობილ იქნა დასაშვებად და დაინიშნა მთავარი სხდომა, ხოლო 2007 წლის 14 მაისის განჩინებით მ. მ-ვას სარჩელზე მოპასუხე შპს “ჟოკეი-კლუბის” მიმართ, საკომპენსაციო თანხის 12500 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ გამოიყო საქმის წარმოება, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველი საქმე და განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შპს “ჟოკეი-კლუბის” მიმართ თანხის ანაზღაურების შესახებ გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან და რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით, რის გამოც მოთხოვნა ამ ნაწილში განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლებრივი კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ივნისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად იქნა ჩართული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დავის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობაზე და 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით საქმე მ. მ-ვას სარჩელის გამო შპს “ჟოკეი-კლუბის” მიმართ საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების შესახებ, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოაგზავნა საკასაციო სასამართლოში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1998 წლის 18 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს “ჟოკეი-კლუბს” შორის დაიდო იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება ქ. თბილისში, იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის გაერთიანების ქონებაზე. იპოდრომის ტერიტორიაზე კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებულნი დევნილები. იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებაში ტერიტორიიდან დევნილთა გამოყვანის შემთხვევაში მათთვის მინიჭებული სახელმწიფო გარანტიების თაობაზე რაიმე შეთანხმების შესახებ მითითებული არ ყოფილა. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. #13-ში არსებული უძრავი ქონება წარმოადგენს შპს “ჟოკეი-კლუბის” საკუთრებას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძველებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის 5.3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სარჩელის სამართლებრივი საფუძველი არის “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონის 5.4 მუხლის “ა” ქვეპუნქტი, რომელზე მითითებითაც მოსარჩელე ითხოვს შპს “ჟოკეი-კლუბისაგან” კომპენსაციის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლომ გამოითხოვა ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიიდან დასრულდა თუ არა და რა შედეგით საქმის წარმოება ძირითადი სარჩელიდან გამოყოფილ საქმეზე -მ. მ-ვას სარჩელის გამო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსის მომართვის თანახმად, ადმინისტრაციულ საქმეზე -მ. მ-ვას სარჩელის გამო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მ. მ-ვას სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რადგან გამომდინარეობს საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან, კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობას, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალური გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს "იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე არ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით წესრიგდება და რომელიც ადმინისტრაციულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს.

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე მ. მ-ვა არის იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იყო დროებითი საცხოვრებელი ადგილით და შესახლებული იყო თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ტერიტორიაზე განთავსებულ კოტეჯში. 1998 წლის 18 თებერვალს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს "ჟოკეი-კლუბს" შორის დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლითაც "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის გაერთიანების ქონების ნაწილი იჯარა-გამოსყიდვით გადაეცა შპს "ჟოკეი-კლუბს". ხელშეკრულებით არ დასტურდება დევნილთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფის, ან გამოსახლების პირობებში სათანადო კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ უფლებამოსილების შპს "ჟოკეი-კლუბისათვის" დელეგირება. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, შპს "ჟოკეი-კლუბის" მი-

ერ მოხდა იპოდრომის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ განთავსებულ კოტეჯებში მაცხოვრებელ დევნილებთან შეთანხმება, თანხის გადახდის სანაცვლოდ დაკავებული ფართის გამოთავისუფლების შესახებ.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს არა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის დევნილთა უფლებების დაცვა, დელეგირება კერძო სამართლის სუბიექტისათვის, რაც სადავო სამართლებრივ ურთიერთობას საჯარო სამართლებრივ ხასიათს შესძენდა, არამედ კერძო სამართლის სუბიექტს - შპს "ჟოკეი-კლუბს" და დევნილთა შორის შეთანხმება - თანხის გადახდის სანაცვლოდ დათმონ მათ მიერ დაკავებული ფართი. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ არის დაკავშირებული "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებასთან.

შესაბამისად, საკითხის გადაწყვეტა, არსებობდა თუ არა ამგვარი შეთანხმება მოსარჩელე მ. მ-ვასა და შპს "ჟოკეი-კლუბს" შორის და შესრულდა თუ არა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება, შესაბამისად, წარმოეშვა თუ არა მ. მ-ვას თანხის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი და არის თუ არა მოპასუხე შპს "ჟოკეი-კლუბი" ის პირი, ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, როგორც ამას ითვალისწინებს სსკ-ის 84-ე-85-ე მუხლების დანაწესი, წარმოადგენს კერძო სამართლებრივი ხასიათის დავას, რომელიც უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ცალკე წარმოებად გამოყო მ. მ-ვას სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ნაწილში, რომელზეც საქმის წარმოება შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის გამო.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, წყვეტს რა დავას მ. მ-ვას სარჩელის განსჯადობის თაობაზე, არა კომპეტენტური, აქვს კომპეტენცია შეაფასოს ცალკე წარმოებად გამოყოფილ საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და შეამოწმოს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერება.

ამ ვითარებაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-მა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა სადავო სამართალურთიერთობას, მართებულად იმსჯელა, რომ მოცემული დავა არ არის დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

ამდენად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის განსჯადობის შესახებ, შესაბამისად, მ. მ-ვას სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; მე-2, 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-ვას სარჩელი განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

№ბს-1007-971(გ-08)

13 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა დ. ნ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ნ-შვილმა 01.07.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1991 წლიდან მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში. მუშაობის პერიოდში მას რაიმე გადაცდომა არ ჰქონია, არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი. მოპასუხის 01.06.05წ. #02/131 ბრძანებით გათავისუფლებულ იქნა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქ. თბილისის ... რაიონული ფილიალის უფროსის მოადგილის თანამდებობიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რეორგანიზაციისა და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებასთან დაკავშირებით. სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანებაში რეორგანიზაციისა და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებას მის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება არ მოჰყოლია, მისთვის არ შეუთავაზებიათ სხვა სამუშაო და თანამდებობა. ამასთან, სამსახურში მიიღეს პირები, რომლებიც სისტემაში არ მუშაობდნენ, ხოლო მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე დანიშნეს მასზე დაბალი კვალიფიკაციის, სტაჟისა და გამოცდილების მქონე პირი. დათხოვნისას არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნა სამუშაოზე უპირატესი დარჩენის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 04.07.05წ. განჩინებით დ. ნ-შვილს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრებულ იქნა დ. ნ-შვილის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.07.05წ. განჩინებით მოსარჩელის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება და სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას - ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის წარმოშობილი საჯარო შრომითი სამართლებრივ ურთიერთობას. განჩინებაში აღნიშნულია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შრომითი ხელშეკრულებით წარმოიშვა საჯარო სამართლებრივი შრომითი ურთიერთობა, რომელიც შეწყდა მოსარჩელის გათავისუფლების ბრძანებით. ადმინისტრაციულ გარიგებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ როგორც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, ასევე შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე ფიზიკურ პირთან დადებული საჯარო შრომითი ხელშეკრულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივ ურთიერთობის არსისა და დავის საგნის მიხედვით მოცემული სარჩელი არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით განსჯადი საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.11.05წ. განჩინებით, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს, საქმის წარმოება შეწყდა დაუშვებლობის მოტივით. 06.01.06წ. მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა დაუშვებლობის გამო წარმოებით შეწყვეტის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.11.06წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. 27.01.06წ. განჩინებით დავით ნატროშვილისა და მისი წარმომადგენლის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველ საქმესთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.12.07წ. განჩინებით კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

განჩინება და საქმე დასაშვებობის საკითხის ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

23.01.08წ. მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2005 წლის 01 ივნისის #02/131-კ ბრძანების ბათილად ცნობა, დ. ნ-შვილის სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.09.08წ. განჩინებით დ. ნ-შვილის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავა გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, არამედ შრომის კანონმდებლობიდან. მოსარჩელის თანამდებობა არ იყო მითითებული საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ დ. ნ-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

განსახილველი დავის საგანს შეადგენს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის 01.06.05წ. #02/131-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო განსახილველი დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კატეგორიის დავათა რიგს.

განსახილველ სადავო სამართალურითერთობაში მოპასუხე მხარედ დ. ნ-შვილმა საჯარო სამართლის იურიდიული პირი: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი დაასახელა. აღნიშნული ფონდი გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 29.06.07წ. #410 ბრძანებულებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. #190/5 ბრძანების შესაბამისად მის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის, ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩითვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მხოლოდ ის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს. განსახილველ შემთხვევაში დ. ნ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 01.06.05წ. #02/131-კ ბრძანება არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და არც სადავო ურთიერთობა წარმოადგენს თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივს. სადავო აქტი შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზეა გამოცემული, აქტის საფუძველად შკკ-ის 34-ე მუხლის I ნაწილის "ა" ქვეპუნქტია მითითებული.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის შესაბამისად, საჯაროსამართლებრივი ინსტიტუტია და, იმავდრო-

ულად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ განიხილება, სსიპ-ის თანამშრომლის მიმართ ყოველთვის ვერ გავრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ნორმები. მითითებული კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის. მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოხელისა, არ არის მითითებული არც საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამასთან, მოსარჩელის თანამდებობა, რომელიც არ განეკუთვნება უშუალოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელ თანამდებობას, არც ფუნქციურად შეიძლება გაუთანაბრდეს საჯარო მოსამსახურეს. ამდენად, მოსარჩელე ვერ ჩაითვლება საჯარო მოსამსახურედ და, შესაბამისად, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის სუბიექტად, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება ვერ მიიჩნევა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127-ე მუხლში მითითებულ ადმინისტრაციულ აქტად.

სადავო შრომის ხელშეკრულება არ წარმოადგენს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებულ ხელშეკრულებას.

დ. ნ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერება უნდა დადგინდეს კერძო სამართლებრივი სფეროს კანონმდებლობის - შრომის კოდექსის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონით. სადავო ბრძანებისა და ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველიც სწორედ შრომის კოდექსის ნორმებია. სადავო აქტითა და ხელშეკრულებით შეწყვეტილია კერძოსამართლებრივი შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოსა და, მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირს შორის და ამ ურთიერთობაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ერთიანი სასამართლო პრაქტიკა (იხ. მაგ. სუს დიდი პალატის 10.07.07წ. #ბს-132-123(კ-07) განჩინება). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ უნდა იქნეს განხილული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. დ. ნ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1583-1538(გ-08) 13 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ "...-ის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის წარმოშობილი დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა კლუბმა "... 15.05.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, რომლითაც ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 27.04.07წ. #2-2206 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ "... სახელმწიფო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 29.12.06წ. ჩატარდა არასამეწარმეო იურიდიული პირის -საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ "... წევრთა საერთო კრება და გამგეობის სხდომა, სადაც გადაწყდა ისეთი საკითხები (გამგეობის წევრთა შემადგენლობაში ცვლილება, აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და სხვ.), რომლებიც ექვემდებარებოდა სახელმწიფო სავალდებულო რეგისტრაციას ცვლილებების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ არაერთგზის მიმართეს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით, თუმცა საბოლოოდ, 27.04.07წ. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის წერილით უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.05.07წ. განჩინებით არასამეწარმეო იურიდიული პირის -საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "... სასარჩელო განცხადება ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამასთან, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 27.04.07წ. #2-2206 წერილი არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან კერძო სამართლის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტის -საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით იყო გამოცემული. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის საქმიანობის შინაარსის სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვევაში იყო კერძოსამართლებრივი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სახელმწიფო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციაზე უარის თქმით მის მიერ სრულდებოდა მოქმედება, რომლის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კოდექსის ნორმები იყო. შინაარსობრივად მოპასუხის მოქმედება სწორედ აღნიშნული ნორმებით იყო დეტერმინირებული, რაც გადამწყვეტი იყო დავის საგნობრივი განსჯადობის განსასაზღვრად, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით, სადავო აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იყო გამოცემული. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში კი სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 05.06.08წ. განჩინებით არასამეწარმეო იურიდიული პირის -საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "... სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო აქტი წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის

"დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ყველა ელემენტს, მათ შორის, ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობის საგადასახადო სახეობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20.03.07წ. #233 ბრძანებით დამტკიცებული "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელის სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქცია წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და ის მიჩნეულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის სადავო 27.04.07წ. #2-2206 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის -საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20.03.07წ. #233 ბრძანებით დამტკიცებული "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელის სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციის საფუძველზე. ამდენად, სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებით, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის საქმიანობა -სახელმწიფო რეესტრში ცვლილებების განხორციელება მის სახელმწიფოებრივ, ანუ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და შესაბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფიზიკულ-სპორტულ კლუბ "... " სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს -ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც საქართველოს ფიზიკულ-სპორტულ კლუბ "... " უარი ეთქვა სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელებაზე, და მოპასუხისათვის სახელმწიფო რეესტრში ცვლილების რეგისტრაცია. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს. აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გინიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც საქართველოს ფიზიკულ-სპორტული კლუბ "დინამოს" სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანება -სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებაზე უარის შესახებ არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რადგან იგი არ შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ -სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამისად, მოცემული დავა ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც იგი რეგულირდება კერძო სამართლის კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20.03.07წ. #233 ბრძანებით დამტკიცებული "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელის სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციის საფუძველზე ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციას, რა დროსაც დასტურდება საწარმოს დოკუმენტაციის

შესაბამისობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებთან. ამდენად, სადავო ბრძანება მატერიალური თვალსაზრისით შემოწმებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალური ერთობას აწესრიგებს გადაწყვეტილების -ბრძანების გამოცემის გზით, დავას არ განაკუთვნიებს ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, რამდენადაც ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან. ამასთან ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილების მიღების დროს კერძო სამართლის კანონმდებლობის -საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ეს გარემოება არ წარმოადგენს განსახილველი დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის საფუძველს. ვინაიდან სადავო ბრძანება გამოცემულია არა საჯარო სამართლის, არამედ, კერძოსამართლებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე, შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ ბრძანების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან მიმართებით. სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მითითება სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) გაცემაზე არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის გაცემა ხდება რეგისტრაციის შემდეგ, უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ფილიალის მიმართ, ხოლო განსახილველი დავა ეხება ცვლილებების რეგისტრაციას (სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხ.), რომელიც კერძო-სამართლებრივი სფეროს სამართალური ერთობებით არის დეტერმინირებული, უფლებამოსილი მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლების არსებობის პირობებს, რეგისტრაციაზე (ცვლილებების რეგისტრაციაზე) უარის თქმის საფუძველზე სამოქალაქო კოდექსის ნორმები განსაზღვრავენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზე არ არის დავა, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექვემდებარება განხილვას. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიიჩნევს, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, იგი წარმოადგენს სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და ასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა გადაეგზავნოს უფლებამოსილ სამართლოს -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ "... " სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-383-368(გ-09) 1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 30 სექტემბერს შპს "...“ ლიკვიდატორმა ზ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 3 ივნისს მან განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სამეწარმეო რეესტრიდან შპს "...“ ამოღება. განცხადებას თან ერთვოდა ყველა დოკუმენტი, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონმდებლობაში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების მოთხოვნათა შესაბამისად, საქმის მასალები გადაეცა საგადასახადო ინსპექციას, შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციისათვის. მოგვიანებით, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ხსენებული საწარმო ისევ იყო რეგისტრირებული და არ იყო ამოშლილი სამეწარმეო რეესტრიდან, ანუ მოპასუხე ორგანომ არ განახორციელა ამ საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაცია. მოსარჩელის არაერთი განცხადების მიუხედავად, მოპასუხე ორგანომ არ მიიღო შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მოსარჩელემ აღნიშნულზე საჩივარი შეიტანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მაგრამ მიუხედავად ზემდგომი ორგანოს დავალებისა და მითითებისა, რომ რეაგირება მოეხდინათ მის განცხადებასა და მოთხოვნაზე, მოსარჩელეს მაინც არანაირი პასუხი მიუღია. მოსარჩელეს საგადასახადო ორგანომ განუმარტა, რომ რაღაც გაურკვევლობა იყო და მას ხელახლა უნდა შეეტანა განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 2008 წლის 14 აპრილს მოსარჩელემ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას მიმართა განცხადებით, რომელსაც დაურთო ყველა ის დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო ლიკვიდაციის რეგისტრაციისათვის და რასაც ითხოვდა საგადასახადო ორგანო. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ მაინც არ მოახდინა შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაცია. 2004 წლიდან მოსარჩელემ ამ საკითხთან დაკავშირებით, არაერთხელ მიმართა საგადასახადო ორგანოს, მაგრამ მოპასუხემ ისევ არ მოახდინა ამ საზოგადოების ლიკვიდაციის რეგისტრაცია -არ გამოსცა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და არ ამოშალა სამეწარმეო რეესტრიდან. 2008 წლის 9 ივლისს მოსარჩელემ კვლავ მიმართა განცხადებით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვა დასაბუთებული, წერილობითი პასუხი მის განცხადებაზე, თუმცა უშედეგოდ. 2008 წლის 29 ივლისს მოსარჩელემ, ვინაიდან მოპასუხე ორგანო არ იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას დაავალა ხსენებულ განცხადებაზე რეაგირება და წერილობითი პასუხის გაცემა, თუმცა მოსარჩელეს მასზე პასუხი არ მიუღია.

მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხის ამგვარი ქმედება უშუალო ზიანს აყენებდა მის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს, რაც დასტურდებოდა იმ ფაქტითაც, რომ 2006 წლის 18 დეკემბერს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ შეტყობინება გაუგზავნა შპს "...“, რომელიც უკვე აღარ ფუნქციონირებდა და ბიუჯეტის სასარგებლოდ დაარიცხა მოგების გადასახადი და საურავი 24594,5 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 2 ივლისის #2671 საგადასახადო მოთხოვნით მას დააკისრა აღნიშნული თანხის გადახდა. ხსენებული საგადასახადო მოთხოვნა გასაჩივრებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომლის 2007 წლის 2 ნოემბრის #7132 ბრძანებით იგი გაუქმებულ იქნა. დამფუძნებლებს უფლება ჰქონდათ, გამოევიწყინათ თავიანთი ნება და გამოეცხადებინათ საზოგადოების ლიკვიდაცია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო მოპასუხეს, როდესაც დაცული იყო კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, უფლება არ ჰქონდა, ხელი შეეშალა მათთვის და არ მოეხდინა მისი ლიკვიდაციის რეგისტრაცია. ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია კი, მოსარჩელისათვის გაუგებარი მიზეზების გამო, უარს აცხადებდა შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციასთან და სამეწარმეო რეესტრიდან მის ამოშლასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ასევე სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის -სამეწარმეო რეესტრიდან შპს "...“ ამოშლის მოპასუხისათვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით შპს "...“ ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი იყო ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევსათვის საჭირო იყო, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე და ადმინისტრაციული დავის საგანი ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა შპს "...“ ლიკვიდაციის რეგისტრაციის და ამ საწარმოს სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შესახებ მოპასუხისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას და აღნიშნული აქტის საფუძველზე, სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. მოსარჩელის მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა რეგულირდებოდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით. საგადასახადო ორგანო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის #233 ბრძანებით დამტკიცებული "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადახდელის სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქციის" საფუძველზე, ახორციელებდა მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას, რადროსაც დასტურდებოდა საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისობა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება, მატერიალური თვალსაზრისით, შემოწმებას ექვემდებარებოდა კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებდა, ცვლიდა, წყვეტდა ან ადასტურებდა პირის ან პირთა შუბლდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის და სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის შესახებ, ვერ იქნებოდა მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, ვინაიდან იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ გამოიცემოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ მას საფუძველად ჰქონდა დადებული კერძო სამართლის კანონმდებლობა. მოცემულ შემთხვევაში, სახეზე იყო სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა განხილულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განესაჯა მხოლოდ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარებოდა მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნიდა განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებდა მოსარჩელეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 თებერვლის საოქმო განჩინებით შპს "...“ ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მოქმედების განხორციელების თაობაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმი-

ნისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილებოდა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, მოცემული დავა გამომდინარეობდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებიდან და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის #419 ბრძანებით დამტკიცებული "გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის წესის შესახებ ინსტრუქციიდან", მოსარჩელის პირველი მოთხოვნა იყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და მეორე მოთხოვნა - ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოქმედების განხორციელების დავალება. ხსენებული სასარჩელო მოთხოვნები იმ სახის იყო, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მათი განხილვა შეუძლებელი იყო. აღნიშნული მოთხოვნების განხილვა წარმოშობდა სამოქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო ნორმების, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლების გამოყენების აუცილებლობას, რის შედეგადაც შესაძლებელი იყო, სასამართლოს გამოყენებინა ის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც შესაძლებელი იყო მომავალში გამხდარიყო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი უნდა განესაჯა მხოლოდ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარებოდა მისი საქმე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო, მოცემული საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები: 2004 წლის 3 ივნისს შპს "... " ლიკვიდატორმა ზ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სამეწარმეო რეესტრიდან შპს "... " ამოღება. 2008 წლის 14 აპრილს შპს "... " წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვა ამ საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაცია და მისი დაუყოვნებლივ ამოშლა სამეწარმეო რეესტრიდან. 2008 წლის 9 ივლისს შპს "... " წარმომადგენელმა კვლავ მიმართა განცხადებით ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვა დასაბუთებული, წერილობითი პასუხი 2008 წლის 14 აპრილის განცხადებაზე. 2008 წლის 29 ივლისს შპს "... " წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ ამ საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციაზე არ მიიღო გადაწყვეტილება და არ ამოშალა იგი სამეწარმეო რეესტრიდან, რის გამოც საჩივრის ავტორმა მოითხოვა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. ხსენებული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის

“ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში, ანუ კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შპს “. . .” ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მატერიალური თვალსაზრისით, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებას დაქვემდებარებულ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებაზე მითითებას, რადგან აღნიშნული არ შეესაბამება ხსენებულ სარჩელს, რომლის აღძვრის მოტივაციაც მოსარჩელე ასახელებს მოპასუხე ორგანოს -ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიუღებლობას. ამდენად, სახეზე არ არსებობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე გადაწყვეტილება, ისევე როგორც -შპს “. . .” ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შეუძლებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი - დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სახეზე იქნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე. ამასთან, მართალია, შპს “. . .” ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელზე მოპასუხე არის ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია), მაგრამ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, არამედ ამისათვის ძირითადი, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა ძირითადად დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის, რეგისტრაციის საკითხები სამართლებრივად რეგულირდება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება-ლიკვიდაციის რეგისტრაციის საკითხები უშუალოდ, პირდაპირ გამომდინარეობს მატერიალური, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან და რეგულირდება ამ კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საწარმოს რეგისტრაციის საკითხების განმსაზღვრელი მატერიალური სამართლის ნორმები მოცემულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში, რომლის მე-4 მუხლი ითვალისწინებს საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ დებულებებს. ხსენებული მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციას ახორციელებს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო (მარეგისტრირებელი ორგანო), თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ხორციელდება ერთდროულად, სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით. ერთიანი სამეწარმეო რეესტრის ელექტრო-

ნულ ვერსიას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი სამსახური. ამავ მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო, სამეწარმეო რეესტრის წარმოების პირობები, სამეწარმეო რეესტრის ფორმულარები, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის განცხადების, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებათა რეგისტრაციის განცხადების, სარეგისტრაციო მოწმობის და რეესტრიდან ამონაწერების ფორმები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი მთლიანად ეძღვნება საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პირობებს -წარსადგენ დოკუმენტებსა და საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების შინაარსს. ხსენებული კანონის მე-5<sup>1</sup>-მე-5<sup>3</sup> მუხლები ასევე შეეხება საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შპს "... " ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის მიერ სარჩელის აღძვრის მოტივაცია მდგომარეობს შპს "... " ლიკვიდაციის რეგისტრაციასა და სამეწარმეო რეესტრიდან შპს "... " ამოშლაში, ანუ ხსენებული სარჩელის აღძვრით ამ საქმის მხარეებს შორის წარმოშობილი მოცემული დავის საფუძველში დევს სწორედ კერძო სამართლის ბაზისური მატერიალური ელემენტი -"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ზემოხსენებული ნორმები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განჩინებაში მითითებული "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 20 მარტის #233 ბრძანება, შპს "... " ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სარჩელის აღძვრისას, უკვე ძალადაკარგული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საოქმო განჩინებაში მითითებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის #419 ბრძანებით, რომლითაც დამტკიცდა "გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის წესის შესახებ ინსტრუქცია". საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მართალია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის #419 ამჟამად მოქმედი ბრძანება ადგენს გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის წესს, სახელმწიფო, მათ შორის, სამეწარმეო რეესტრის წარმოებას, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მოცემული დავა გამომდინარეობს თვით დასახელებული ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციიდან, რადგან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის #419 ბრძანება გამოცემულია სწორედ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სწორად მიიჩნია შპს "... " ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს "... " ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს "... " ლიკვიდატორის -ზ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**პ. სილაგაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 18 დეკემბერს დ. მ-შვილმა და ხ. გ-შვილმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მ. წ-იასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვეს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება შემდეგი საფუძველით:

2008 წლის 10 სექტემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომლის თანახმად რ. მ-შვილს ლ. მ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა, აღმასრულებლის მიერ ყადაღა დაედო ქონებას, რომელიც მოსარჩელეთა მითითებით, ეკუთვნის არა რ. მ-შვილს, არამედ მოსარჩელებს. შესაბამისად, აღმასრულებელმა არასწორად მიიჩნია ქონება რ. მ-ის საკუთრებად, რის გამოც არ უნდა მოეხდინა მოსარჩელეთა კუთვნილი ნივთების დაყადაღება.

მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს მოვალის ქონების აღწერის (და დაყადაღების) შესახებ აღმასრულებლის 2008 წლის 10 დეკემბრის აქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 24 აპრილის განჩინებით დ. მ-შვილისა და ხ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, რადგან სარჩელი მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს მიმართ და დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, კერძოდ, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 მაისის განჩინებით სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საკასაციო სასამართლოში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 32-ე, მე-40 მუხლებით და მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2008 წლის 10 დეკემბრის აქტი მოძრავი ნივთების აღწერა-დაყადაღების შესახებ არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დაუშვებელია.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა, რომ ვინაიდან დავა გამომდინარეობს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონიდან, იგი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას, რადგან მოცემული სარჩელი დავის საგნიდან გამომდინარე, ფაქტობრივად განეკუთვნება მესამე პირების მიერ აღძრულ სარჩელს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ დ. მ-შვილისა და ხ. გ-შვილის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავად. აღნიშ-

ნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას დავის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას, რომ მოცემული საქმე არ განეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის დავას და იგი ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოებით განხილვას, რამდენადაც, კონკრეტულ შემთხვევაში, დ. მ-შვილისა და ხ. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ აღმასრულებლის მიერ ქონების დაყადაღების აქტში არასწორად აღირიცხა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონება, ნაცვლად რ. მ-შვილის ქონებისა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. მ-შვილისა და ხ. გ-შვილის სარჩელი წარმოადგენს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ სარჩელს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

ამდენად, კანონმდებელმა საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის ელემენტად განსაზღვრა სწორედ დავის საგანი და ის გარემოება, რომ სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელეთა მოთხოვნა ყადაღის აქტში შესული ქონების მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებობის თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როცა როგორც საქმის მასალებით ირკვევა, იძულებითი აღსრულება აღმასრულებლის მიერ დაწყებულია "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 2. "ა" მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივ დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებულია მესამე პირის მიერ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა, სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ. კანონის მითითებული დებულება ადგენს მესამე პირის სარჩელის განსჯად სასამართლოს, სარჩელის სახეს /სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ, მათ შორის უკვე რეალიზებულ ქონებაზე/ და სარჩელზე მოპასუხე სუბიექტებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია მესამე პირების სარჩელის სასამართლო წესით განხილვის წესი, შესაბამისად, დავის განხილვაზე უფლებამოსილმა სასამართლომ – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სარჩელის განხილვისას უნდა შეამოწმოს დ. მ-შვილისა და ხ. გ-შვილის სარჩელის მითითებულ ნორმასთან შესაბამისობა, კერძოდ, მოსარჩელენი რამდენად უფლებამოსილნი არიან იდავონ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის არსს არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს მოვალის ქონების აღწერის (და დაყადაღების) შესახებ აღმასრულებლის 2008 წლის 10 დეკემბრის აქტის ბათილად ცნობა, რადგან სარჩელის მიზანს წარმოადგენს აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ნივთების ყადაღისაგან გათავისუფლება, რათა არ მოხდეს მოსარჩელეთა კუთვნილი ქონების მიქცევა აღსასრულებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ აღძრული სარჩელი განეკუთვნება სამოქალაქო კატეგორიას, რამდენადაც საკუთრება კერძოსამართლებრი-

ვი, კონკრეტულად, სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ინსტიტუტია, რომლის თაობაზე დასაშვებია სამოქალაქო სარჩელის აღძვრა, რაც ექვემდებარება სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვას სსსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი, კერძოდ, დავა არ არის დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ის გარემოება, რომ ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო - თბილისის სააღსრულებო ბიურო, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის საფუძველს, რამდენადაც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ამდენად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის განსჯადობის შესახებ, მოცემული დავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. მ-შვილისა და ხ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

##### **განჩინება**

#ბს-203-197 (გ-08) 24 ივნისი 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**პ. სილაგაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

#### **სასამართლომ გამოარკვია:**

ზ. ჯ-მემ 2008 წლის მარტში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, მესამე პირი ზ. თ-შვილის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 12 მარტის #241 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის #7971 ბრძანებისა და 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 ივლისის განჩინებით ზ. ჯ-მის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, მესამე პირის ზ. თ-

შვილის მონაწილეობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 12 მარტის #241 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის #7971 ბრძანებისა და 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს –თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგინდა, რომ 2008 წლის 28 ივნისს განმეორებით ჩატარდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-ის" წევრთა საერთო კრება, რომელზეც ამხანაგობის თავმჯდომარეს ზ. თ-შვილს შეუწყდა ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილება და მის ნაცვლად ამხანაგობის ახალ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზ. ჯ-ძე. აღნიშნული კრების ოქმის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანებით ცვლილება შევიდა ამხანაგობა "...-ის" სარეგისტრაციო მონაცემებში და ზ. თ-შვილის ნაცვლად ამხანაგობის თავმჯდომარედ დაინიშნა ზ. ჯ-ძე. ამის შემდეგ, ზ. თ-შვილმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა იმავე სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობა ამხანაგობა "...-ის" სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანებით ზ. თ-შვილის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანება ამხანაგობა "...-ის" სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ და ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას დაევალა წარდგენილი დოკუმენტების არსებითი შესწავლისა და შეფასების შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება ამხანაგობა "...-ის" რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრა ზ. ჯ-ძემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 12 მარტის #241 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ზ. ჯ-ძის ადმინისტრაციული საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული ბრძანება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილზე და მიიჩნია, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტ-ტ\_დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანება ამხანაგობა "...-ის" სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ და არც შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ისინი არ გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის ბრძანება ამხანაგობა "...-ის" სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ აწესრიგებს კერძო სამართლის სუბიექტის-ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის რეგისტრაციის საკითხებს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. ამხანაგობის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანას საფუძვლად დაედო ამხანაგობის წევრთა საერთო კრების სხდომის ოქმი ამხანაგობის წევრთა დებულებისა და "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტები მართალია გამოცემულია ადმინისტრაციული აქტების (ბრძანების) ფორმით, მაგრამ შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობა "...-ის" წევრთა საერთო კრება, რამდენად კანონიერად მოხდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა და რამდენად კანონიერად შევიდა ცვლილება ამხანაგობის სარეგისტრაციო მონაცემებში; აღნიშნული საკითხების შესწავლა კი უნდა მოხდეს არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ, მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამხანაგობის დებულების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით ზ. ჯ-მის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "... " სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებას საფუძვლად დაედო ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ოქმი, არ წარმოადგენს დავის სამოქალაქო წესით განხილვის საფუძველს, ვინაიდან, ადმინისტრაციული წესით გასაჩივრებულია არა ამხანაგობის კრების მოწვევის შესაბამისობა სამოქალაქო კანონმდებლობასთან, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ, გარდა ამისა, ინდივიდუალურ მენაშენეთა "... " არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და თბილისის საგადასახადო ინსპექციაში მისი რეგისტრაციის სავალდებულობა განპირობებულია მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით, როგორც გადასახადის გადამხდელის.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის უფლების დაცვის სამართლებრივ ინტერესს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციაში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 20 მარტის #233 ბრძანებით დამტკიცებული "ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლების) და გადასახადის სხვა გადამხდელების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის წესის შესახებ" ინსტრუქციასთან.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ზ. ჯ-მის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ზ. ჯ-მემ სარჩელით მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 12 მარტის #241 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის #7971 ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ნოემბრის #13640/006-204959633 ბრძანების ძალაში დატოვება.

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ნოემბრის #13640/006-204959633 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება ამხანაგობა "... " რეგისტრაციის მონაცემებში, კერძოდ, შეიცვალა ამხანაგობა "... " თავმჯდომარე, ზ. თ-შვილის ნაცვლად დაინიშნა ზ. ჯ-მე. მოცემული ბრძანების საფუძველს წარმოადგენს ამხანაგობა "... " 2007 წლის 28 ივნისის კრების ოქმი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის #7971 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა "... " თავმჯდომარის ზ. თ-შვილის ადმინისტრაციულ საჩივარზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა "... " ზ. თ-შვილის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ნოემბრის #13640/006-204959633 ბრძანება ამხანაგობა "... " რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის შესახებ; ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას დაევალა ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, მხარეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების არსებითი შესწავლისა და შეფასების შემდეგ კანონმდებლობის ზუსტი დაცვით, მიეღო გადაწყვეტილება ამხანაგობა "... " რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შესახებ. საჩივრის განხილვისას გამოვლინდა რომ გარკვეული შეუსაბამობები შეინიშნება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა "... " საბურთალოს რაიადმასკომის მიერ გაწვევრიანებულ ამხანაგობის წევრთა დამფუძნებელ წევრთა თავმჯდომარის, მისი მოადგილის და გამგეობის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტას და თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე 2007 წლის 28 ივნისის ჩატარებულ სხდომაზე დამსწრე და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირთა შესახებ შედგენილი სიების მონაცემებში. ამასთან საერთო კრების მოწვევისა და ამხანაგობის თავმჯდომარის გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა დაცული ამხანაგობის მოქმედი დებულების (20.11.2003) მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული დათქმები, რის გამოც დამატებით უნდა იქნეს შესწავლილი საერთო კრების გადაწყვეტილება უნარიანობის და შესაბამისად რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 12 მარტის #241 ბრძანებით ზ. ჯ-ძის 2008 წლის 19 თებერვლის #304-6 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე "ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-ის" თავმჯდომარის -ზ. თ-შვილის საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანება; ძალადაკარგულად გამოცხადდა "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანების მოქმედების შეჩერებისა და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 თებერვლის #205 ბრძანების მეორე პუნქტი; ძალადაკარგულად გამოცხადდა "ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "...-ის" თავმჯდომარის ზ. თ-შვილის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 2007 წლის 21 დეკემბრის #7971 ბრძანების მეორე პუნქტი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "... " წარმოადგენს ბინათმშენებლობის ამხანაგობას.

საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემული საქმის განხილვაში უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ეს ნორმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეების განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევა დავის საგანს, რომელიც წარმოშობილია საჯარო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სწორედ მიუთითა, რომ ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტები მართალია გამოცემულია ადმინისტრაციული აქტების (ბრძანების) ფორმით, მაგრამ შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობა "... " წევრთა საერთო კრება, რამდენად კანონიერად მოხდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა და რამდენად კანონიერად შევიდა ცვლილება ამხანაგობის სარეგისტრაციო მონაცემებში; აღნიშნული საკითხების შესწავლა კი უნდა მოხდეს არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის - "ბინათმშენებლობის ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამხანაგობის დებულების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის #305 ბრძანებას საფუძველად დაედო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლებრივი "ბინათმშენებლობის ამხანაგობის შესახებ" კანონის და ამხანაგობის დებულების დარღვევა, ასევე ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილება უნარიანობის შეწყვეტის აუცილებლობა, ამიტომ ზ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ბრძანებებს არ გააჩნია დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი მეორე ელემენტი: სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან; შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს არა საჯარო, არამედ, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ეს დავა არ არის, რომელიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხილვას დაქვემდებარებული.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით და მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. ჯ-ძის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, მესამე პირი ზ. თ-შვილის მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 12 მარტის #241 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის #7971 ბრძანებისა და 2008 წლის 18 თებერვლის

#305 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

#ბს-806-770(გ-09)

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 იანვარს ი. და ნ. ა-შვილებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე მ. ა-შვილის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღიშნული იყო, რომ შ. ა-შვილი და ვ. ა-შვილი განქორწინდნენ 1983 წლის 24 მარტს. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში შვილი არ ჰყავდათ. შ. ა-შვილი გარდაიცვალა 1997 წლის 9 ივლისს და მისი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობის წესით გადავიდა კანონისმიერ მემკვიდრეებზე. მოგვიანებით, მ. ა-შვილმა სამკვიდრო ვადის გაგრძელების მოთხოვნით სარჩელი აღძრა სასამართლოში და მიუთითა, რომ იგი იყო შალვა ა-შვილის შვილი. ამასთან, მოითხოვა შ. ა-შვილის მემკვიდრედ და სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა. სასამართლოში მის მიერ წარდგენილ იქნა 1994 წლის 7 სექტემბერს გაცემული დაბადების მოწმობის ასლი და ბათუმის მოქალაქეთა აქტების ჩამწერი ბიუროს განყოფილების მიერ გაცემული #15 სააქტო ჩანაწერი. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, თუმცა შემდეგ, აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ზემდგომ სასამართლოში, რომელზეც გადაწყვეტილება ჯერ არ იყო მიღებული.

მოსარჩელეთა განმარტებით, მ. ა-შვილის მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტები ყალბი იყო, ვინაიდან შ. ა-შვილს შვილი არ ჰყავდა და არც ქორწინების განმავლობაში უშვილებია ვინმე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მ. ა-შვილზე 1994 წლის 7 სექტემბერს გაცემული #261725 დაბადების მოწმობისა და #15 სააქტო ჩანაწერის ყალბად აღიარება მოითხოვეს.

2009 წლის 30 იანვარს მოსარჩელებმა დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც დამატებით ბათუმის მმჩის განყოფილების მიერ 1994 წლის 7 სექტემბერს განხორციელებული #15 დაბადების აქტის ჩანაწერისა და შვილად აყვანის #20 აქტის ჩანაწერის ყალბად აღიარება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში მათ გადაეცათ ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 5 ოქტომბრის #330 გადაწყვეტილება შვილად აყვანის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სააქტო ჩანაწერი უნდა განხორციელებულიყო ვ. შ.-ას ასულ ა-შვილზე და არა მ. შ.-ას ასულ ა-შვილზე. ამასთან, შვილად აყვანის გადაწყვეტილებაზე დაბადების მოწმობა მხოლოდ 1 წლის შემდეგ გაცა, თანაც კანონდარღვევით, კერძოდ, სააქტო ჩანაწერი რეგისტრირებული იყო არა ვ. შ.-ას ასულ ა-შვილზე, არამედ მ. შ.-ას ასულ ა-შვილზე. ამდენად, მოსარჩელეთა განმარტებით, სარეგისტრაციო სამსახურმა დაბადებისა და შვილად აყვანის მოწმობა სულ სხვა პიროვნებაზე გასცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის განჩინებით ი. და ნ. ა-შვილების სარჩელი მოპასუხე მ. ა-შვილის მიმართ, დოკუმენტების სიყალბის აღიარების შესახებ, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ მმჩის ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირ-

თა მიერ განხორციელებულ ქმედებას, რომელიც მათ უნდა ეწარმოებინათ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო კანონმდებლობის შესაბამისად და ითხოვდნენ ამ კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული დოკუმენტების სიყალბის აღიარებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები (ყოფილი მმაჩის ორგანოები) წარმოადგენდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე ახორციელებდნენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ამდენად, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ სწორედ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებას, რაც არ განეკუთვნებოდა სამოქალაქო კანონმდებლობის განხორციელების საგანს, ვინაიდან სადავოდ ქცეული დოკუმენტების სიყალბის აღიარების დადგენისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო საჯარო და არა სამოქალაქო კანონმდებლობა.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ, ვინაიდან აღნიშნული დავის განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო საჯარო კანონმდებლობა, სარჩელი როგორც საგნობრივად (შინაარსი), ისე ნორმატიული (საპროცესო) თვალსაზრისითაც ექვემდებარებოდა განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოტივაციას და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავდა სამოქალაქო საქმეების უწყებრივად დაქვემდებარებას სასამართლოსადმი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავდა საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, მითითებულ დავაში მოპასუხე მხარეს წამოადგენდა ფიზიკური პირი -მ. ა-შვილი, ხოლო დავის საგანი იყო დოკუმენტის სიყალბის დადგენა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ბათუმის მმაჩის განყოფილების მიერ 1994 წლის 7 სექტემბრის შვილად აყვანის #20 აქტის ჩანაწერი და #15 დაბადების აქტის ჩანაწერი მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ აქტებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი არ იყო საკმარისი და გადაწყვეტი წინა პირობა კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის. საამისოდ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის საგნის არსა და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობდა სასარჩელო მოთხოვნები და შესაბამისად, სამართალურთიერთობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 მარტის განჩინებით საქმე ი. და ნ. ა-შვილების სარჩელის გამო, მოპასუხე მ. ა-შვილის მიმართ, დოკუმენტების სიყალბის აღიარების შესახებ, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ. აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური თვითობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ დავაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი -მ. ა-შვილი, ხოლო დავის საგანი არის დოკუმენტების -ბათუმის მმჩის განყოფილების მიერ 1994 წლის 7 სექტემბერს შვილად აყვანის #20 აქტის ჩანაწერისა და #15 დაბადების აქტის ჩანაწერის სიყალბის დადგენა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ის ფაქტი, რომ შვილად აყვანის #20 აქტის ჩანაწერი და #15 დაბადების აქტის ჩანაწერი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ აქტებს, არ არის საკმარისი და გადამწყვეტი წინა პირობა კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის, ვინაიდან საამისოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის საგნის არსა და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნები და შესაბამისად, სამართალური თვითობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალური თვითობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალური თვითობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქმე ი. და ნ. ა-შვილების სარჩელის გამო, მოპასუხე მ. ა-შვილის მიმართ, დოკუმენტების სიყალბის აღიარების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

№ბს-477-450 (გ-09)

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განსჯადობის შესახებ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

#### სასამართლომ გამოარკვია:

ნ. ა-შვილმა და საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდმა 2005 წლის თებერვალში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, კინემატოგრაფისტთა კავშირის, დ. ო-შვილის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ე. შ-აიას მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებს აეკრძალათ მოსარჩელების მიერ დაპატენტებული გამოგონების შემდგომი დამზადება ან სხვა უფლებადამრღვევი ქმედებანი, მოპასუხეებს აეკრძალათ ასევე ნაწარმოების "...", ასევე, ბულვარის ან სხვა სახით მოწყობა; ასევე აეკრძალათ დაპატენტებული ლოგოს "ვარსკვლავის" გამოყენება ნებისმიერი სახეშეცვლილი ფორმით; მოსარჩელები ასევე მოითხოვენ, რომ "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად მოსარჩელე აღიარებულ იქნეს სადავო საგანზე უფლების მფლობელად; მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს, რომ მოპასუხეებს: ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურსა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროთ მათი საავტორო უფლებების დარღვევის გამო კომპენსაცია 500 000 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელების -ნ. ა-შვილისა და საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის სარჩელი მოპასუხეების -ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურისა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის 500 000 ლარის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა ცალსახად აღიარებს პრინციპს, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს ან საჯარო მოხელის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ აღძრული მოთხოვნები ადმინისტრაციული წესით უნდა განიხილებოდეს. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტი, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით სასამართლოებს შორის სარჩელის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად მოსარჩელების -ნ. ა-შვილისა და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის სარჩელისა გამო, მოპასუხეების -ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიმართ, კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით აღძრული #3/2716-08 საქმე გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელების -ნ. ა-შვილისა და საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის სარჩელისა გამო დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სასამართლომ დადგინდა ჩათვალა, რომ სარჩელის მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი (კანონის 59-ე მუხლი), რომელიც განეკუთვნება კერძო სამართლის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების წრეს; კერძოდ, კანონი აწესრიგებს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის თანასწორობასა და ავტონომიურობაზე დაფუძ-

ნებულ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს სამართალბრუნვის ისეთი სპეციფიური საგნების (კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი) გამო, როგორც არის მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოები, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, მონაცემთა ბაზა; აგრეთვე, კანონი აწესრიგებს ასეთ ობიექტებთან მიმართებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების, ავტორთა და შემსრულებელთა, მათ უფლებამემკვიდრეთა და სხვა უფლებამფლობელთა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის საკითხებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოსარჩლეები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისგან მოითხოვენ კომპენსაციის (და არა ზიანის) ანაზღაურებას; "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი კი ერთმანეთისგან განასხვავებს ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის გადახდის ინსტიტუტებს; სასამართლომ მიუთითა "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტებზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ჩათვალა, სავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევისთვის "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით დადგენილი კომპენსაცია წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი შინაარსის ინსტიტუტს, რადგან იგი (კომპენსაციის ინსტიტუტი) შემოღებულია და არსებობს ხსენებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ამავე აქტით დადგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი შინაარსის სავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის შემთხვევაში მათი (უფლებების) კომპენსირების მიზნით; ასეთი სახის კომპენსაციის ანაზღაურების წინაპირობები (საფუძველები) გათვალისწინებულია იმავე "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით; რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც იხილება საკითხი დარღვეული უფლების სანაცვლო კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე, საკითხი უნდა გადაწყდეს მითითებული კანონის საფუძველზე;

სასამართლომ განმარტა, რომ ნაწარმოების "... " გამო ნაწარმოების ავტორს -ნ. ა-შვილსა და მოპასუხეებად დასახელებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სადავო ურთიერთობა განხილულ უნდა იქნეს კერძო-სამართლებრივი შინაარსის ურთიერთობად, რადგან ასეთი სახის ურთიერთობათა მოწესრიგება შესაძლებელია კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტის -"სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმათა მეშვეობით; ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ მიმართული სასარჩელო მოთხოვნა რაიმე სახის ქმედების განხორციელების თაობაზე იმ შემთხვევაში განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, თუკი სადავოდ ქვეული ქმედების შესრულების უფლებამოსილება გათვალისწინებულია საჯარო სამართლის სფეროში მოქმედი აქტით (კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით) და თუკი სადავო უმოქმედობა (მოქმედება) განაპირობებს ასეთი სახის აქტით დაცული უფლების ან/და ინტერესის დარღვევას; ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველი პირდაპირ მიუთითებს მასზე, რომ დავა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის (და არა ადმინისტრაციული) კანონმდებლობიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ნ. ა-შვილისა და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ნ. ა-შვილმა და საქართველოს ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდმა სარჩელით მოითხოვეს მოპასუხეებს აკრძალვით მოსარჩლეების მიერ დაპატენტებული გამოგონების შემდგომი დამზადება ან სხვა უფლებადამრღვევი ქმედებანი, მოპასუხეებს აკრძალვით ნაწარმოების "ხელოვანთა ხეივანი თბილისში" ასევე ბულვარის ან სხვა სახით მოწყობა, ასევე აკრძალვით დაპატენტებული ლოგოს "ვარსკვლავი" გამოყენება ნებისმიერი სახეშეცვლილი ფორმით; მოსარჩლეები ასევე მოითხოვენ, რომ "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად მოსარჩელე აღიარებულ იქნეს სადავო საგანზე უფლების მფლობელად; მათ ასევე მოითხოვეს, რომ მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ მათი სავტორო უფლებების დარღვევის შედეგად კომპენსაციის თანხის -500 000 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის საგნის შინაარსიდან გამომდინარე მოცემული საქმის განხილვაში უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების შემდეგ მისი შესაძლო დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს "სავტორო და მო-

მიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც განეკუთვნება კერძო სამართლის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამოდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ეს ნორმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეების განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს დავის საგანს, რომელიც წარმოშობილია საჯარო ადმინისტრაციული სამართალურთიერთობიდან; ამიტომ საკასაციო სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლექციის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავა წარმოშობილია კერძო სამართალურთიერთობიდან და მოცემული სადავო ურთიერთობათა მოწესრიგება შესაძლებელია კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტის - "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმათა მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ეს არ არის დავა, რომელიც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექვემდებარება განხილვას.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ა-შვილისა და ხელოვანთა დახმარების საერთაშორისო ფონდის სარჩელი მოპასუხეების: ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიმართ, კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლექციას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლექციას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სამოქალაქო განსჯადობა

#### განჩინება

#ბს-434-419(კ-09)

10 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 7 დეკემბერს ა. დ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე -სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, ქმედების განხორციელების თაობაზე.

2008 წლის 30 იანვარს ა. დ-მემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელშიც მიუთითებდა, რომ სსიპ -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" არსებითად და უხეშად დაირღვა მისი კონსტიტუციური, შრომისა და სოციალური უფლებები, შეილახა მისი კანონიერი ინტერესები და ღირსება, მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. ბრძანებით კონკურსი გამოცხადებულია მხოლოდ 48 დამხმარე საშტატო ერთეულზე, აქედან აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის 1 საშტატო ერთეულზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2007 წლის 19 სექტემბერს ასევე გამოცემულ იქნა #423 ბრძანება სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი განისაზღვრა 39 სამტატო ერთეულით, ხოლო დამხმარე პერსონალი -204 სამტატო ერთეულით. აღსანიშნავია, რომ დამხმარე პერსონალის 204 სამტატო ერთეულიდან კონკურსი გამოცხადდა 48 თანამდებობებზე. ამასთან, დამხმარე სამტატო ერთეულის 25 ხელმძღვანელი თანამდებობიდან კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ ერთზე -აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კორუფციული და მიკერძოებითი გზით, საქმის მცოდნე კომპეტენტური პირების გზიდან ჩამოშორებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებით კონკურსი გამოცხადდა და გაიმართა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მოხდა მისი, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის, დისკრიმინაცია, რაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით აკრძალულია. კონკურსის გზით მოხდა მისი შეიწროება, შეიქმნა დამამცირებელი და ღირსების შემლახავი გარემოება, რითაც გაუარესდა მისი მდგომარეობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო #476 ბრძანებით კონკურსი გამოცხადდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე, ხოლო 2007 წლის 19 სექტემბრის #423 ბრძანებით ახლად დამტკიცებულ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის სამტატო ერთეულზე კონკურსი არ გამოცხადებულა და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილით საქმის გარემოებათა იდენტურობის შეთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

მოსარჩელის მითითებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია (მმართველობის სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო -აკადემიური საბჭო, უნივერსიტეტის სუბიექტებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღლა დგას და მის მიერ მიღებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის -დადგენილების უგულვებელყოფა, იგნორირება ან მის მიერ დანიშნული პიროვნების სამუშაოდან გათავისუფლების უფლება იერარქიულად მასზე დაბალ საფეხურზე მყოფ არცერთ მმართველ სუბიექტს და მითუფრო აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშვალდებულ უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არა აქვს. მას არა აქვს აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის (ხელმძღვანელის) თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების უფლება, ან აღნიშნული თანამდებობის ვაკანტურ თანამდებობად მიჩნევის უფლება. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მესამე თავის მესამე პუნქტით აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს აკადემიური საბჭო. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და მე-7 მუხლის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 თავის მე-3 პუნქტის საფუძველზე აკადემიური საბჭოს 2007 წლის 2 მაისის #47 დადგენილებით იგი დაინიშნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელად. აღნიშნული დადგენილება აკადემიური საბჭოს არც გაუუქმებია და იგი არც აკადემიური საბჭოს გაუთავისუფლებია დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნულის მიუხედავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა თანამდებობის ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით გამოაცხადა კონკურსი არავაკანტურ -უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე, მაშინ, როცა ახლად დამტკიცებული სამტატო განრიგით უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე კონკურსი არ გამოცხადებულა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს უფლებამოსილების განხორციელებას მხოლოდ კანონის საფუძველზე, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 24), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არ ანიჭებს უფლებამოსილებას ერთპიროვნულად გაათავისუფლოს ყველა დამხმარე პერსონალი. შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა, დაინიშნოს დროებითი მოვალეობის შემსრულებლად, გამოაცხადოს ღია კონკურსი დამხმარე პერსონალის თანამდებობის დასაკავებლად, დაინიშნოს თავი საკონკურსო კომისიის

თავმჯდომარედ, ერთპიროვნულად გააუქმოს ესა თუ ის საშტატო ერთეული და ა.შ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული სადავო ბრძანებას საფუძვლად უდევს "უმადლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლები, რაც მას ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემისთანავე არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) დავალებოდა ცვლილებები შეეტანა აღნიშნულ ბრძანებაში და უნივერსიტეტის რექტორთან, სხვა მმართველ სუბიექტებთან შეთანხმებით გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, უნივერსიტეტის ყველა იმ დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოსაცხადებლად, ასევე ბათილად ყოფილიყო ცნობილი მიღების დღიდან სსიპ -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის (ხელმძღვანელის) საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოსაცხადების ნაწილში.

მოპასუხე სსიპ -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოდგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ა. დ-მის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ადგენს უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, მისი შრომითი ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ი" ქვეპუნქტით ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს დამხმარე პერსონალს, გამოსცემს ბრძანებებს მათი დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ, დებს და წყვეტს მათთან შრომით ხელშეკრულებებს საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 12 ივნისის #4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელმაც დაადგინა ვაკანტურ თანამდებობაზე პერსონალის მიღება საკონკურსო წესით. სასამართლოს მოსაზრებით, 2007 წლის 12 ივნისის #4 გადაწყვეტილება მთლიანად შეესაბამება შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რამდენადაც ამ გადაწყვეტილებით დადგინდა უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, მათი შრომითი ანაზღაურების ოდენობა და პირობები. აღნიშნული წესი ადმინისტრაციის უფროსს აძლევს უფლებას სამსახურში მიიღოს და სამსახურიდან გაათავისუფლოს დამხმარე პერსონალი, გამოსცეს ბრძანებები მათი დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ.

მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობა განეკუთვნებოდა დამხმარე პერსონალის კატეგორიას და ამ თანამდებობაზე მუშაკის მიღებისა და გათავისუფლების პრეროგატივა გააჩნდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ამავე წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, დამხმარე პერსონალს გარდა რექტორის აპარატის მოსამსახურეების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სამსახურში იღებს, როგორც კონკურსით ისე კონკურსის გარეშე. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება და, შესაბამისად, უფლება ჰქონდა, სამსახურში მიეღო დამხმარე პერსონალი, როგორც კონკურსის წესით ისე მის გარეშე, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში იგი მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და არ არსებობს მისი დავალდებულების სამართლებრივი საფუძვლები ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ, 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებაში და გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი ყველა დამხმარე საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოსაცხადებლად.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მეორე მოთხოვნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის ერთ საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოსაცხადების ბათილად ცნობის შესახებ, იმ საფუძვლით, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2007 წლის 14 ივნისის #4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული უნივერსიტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესის მეორე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციის

ხელმძღვანელს უფლება ჰქონდა, აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებინა კონკურსი და მისი მოქმედება შეესაბამება კანონს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მმართველ სუბიექტებს შორის იერარქიულად ყველაზე მაღლა მდგომ აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნული პიროვნების სამუშაოდან გათავისუფლება, აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობის ვაკანტურად გამოცხადება და მის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არ ჰქონდა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, სწორედ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 12 ივნისის #4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიენიჭა დამხმარე პერსონალის და მათ შორის აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება და დანიშვნა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-მემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები და არ მოხდა მათი ყოველმხრივ, სრული და ობიექტური შეფასება, ზოგიერთი მტკიცებულებები კი საერთოდ დარჩა შეფასების გარეშე, ვინაიდან სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით, რომ თითქოს იგი არ გამოცხადდა ამ კონკურსზე. საქმეში წარმოდგენილია აღნიშნულის საწინააღმდეგო არაერთი მტკიცებულება, რომ მან პროტესტის ნიშნად არ მიიღო მონაწილეობა ამ კონკურსში. სასამართლომ ასევე არასწორი შეფასება მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ უნივერსიტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესს, რომელიც ეწინააღმდეგება "უმადლეის განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "კ" ქვეპუნქტებს, 23-ე და 24-ე მუხლებს, ვინაიდან კანონი არ იცნობს დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესს და იგი კანონსაწინააღმდეგოა. აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილებაში ასევე არასწორადაა გადმოცემული 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებით დადგენილი გარემოებები. სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია და შეფასების გარეშე დატოვა 2007 წლის 19 სექტემბერს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული #423, 424 და 476 ბრძანებები; გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიყენა სზაკ-ის მე-4, მე-5 და 115-ე მუხლები, მაშინ როცა მოპასუხემ კონკურსის ჩატარების თაობაზე #476 ბრძანება გამოსცა აღნიშნული ნორმების მოთხოვნათა უხეში დარღვევით. საკითხი ეხებოდა ფართო წრეს ზოგიერთისათვის კონკურსის გზით თანამდებობის დაკავებას, ზოგიერთის კი პირდაპირ დანიშვნას, ასეთ შემთხვევაში კი აუცილებელი იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აღნიშნული ბრძანება შეეთანხმებინა მისი ზემდგომი ორგანოსათვის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და აქტი გამოიცა კანონის დარღვევით, უფლებამოსილების გადამეტებით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა სზაკ-ის 63-ე მუხლი. წარდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე სასამართლოს გააჩნდა სრული საფუძველი დაევალებინა მოპასუხისათვის #476 ბრძანებაში შეეტანა ცვლილებები და უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის ყველა საშტატო ერთეულზე უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება სადავო #476 ბრძანების ბათილად გამოცხადების მოთხოვნის დაუსაბუთებლობის შესახებ. საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო უნივერსიტეტის წესდებას, რაც არ უნდა გამოეყენებინა. წესდება დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის #1106 ბრძანებით, რაც ძალაშია 2008 წლის 28 ნოემბრიდან. სადავო #476 ბრძანება კი ძალაშია 2008 წლის 19 სექტემბრიდან, რითიც დაარღვია "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44.1 და 47-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან უნივერსიტეტის წესდებას მოცემულ შემთხვევაში უკუძალა არა აქვს. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სზაკ-ის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები, რაც უნდა გამოეყენებინა, შესაბამისად უსაფუძვლოა გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს "უნივერსიტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესმა" მიანიჭა დისკრეტია გადაწყვიტოს დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების წესი, რაც არასწორია, შესაბამისად სასამართლო ვერ უთითებს აღნიშნული წესის კონკრეტულ ნორმებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განჩინებით ა. დ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება ა. დ-მის სასარჩელო მოთხოვნის სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო. დანარჩენ ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 10 ივნისის #1252 ბრძანებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, შრომის კანონთა კოდექსის 37-ე, 28-ე მუხლებისა და უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 25 აპრილის 1-40 ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის დანარჩენ დამხმარე პერსონალთან მოიშალა შრომითი ურთიერთობა და გათავისუფლდნენ სამსახურიდან. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი დამხმარე მოსამსახურე დაინიშნა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, მათ შორის აკადემიური საბჭოს დამხმარე მოსამსახურეები არ დანიშნულან.

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 12 ივნისის #4 გადაწყვეტილებით დამტკიცდა უნივერსიტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც ძალაშია გადაწყვეტილების ხელმოწერისთანავე. აღნიშნული წესის 2.2 მუხლის თანახმად, დამხმარე პერსონალს, გარდა რექტორის აპარატის მოსამსახურეებისა, სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს და დებს/წყვეტს მათთან შრომის ურთიერთობებს. ამავე წესის მე-2 მუხლის 8-11 პუნქტების შესაბამისად პერსონალის სამსახურში მიღება შესაძლებელია, როგორც კონკურსის წესით ისე მის გარეშეც.

აღნიშნული წესისა და "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2007 წლის 13 თებერვლის #6 და #7 გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტის სტრუქტურის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების თაობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #423 ბრძანებით დამტკიცდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ახალი საშტატო განრიგი სულ 243 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდი.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლებისა და ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებით უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად 48 ვაკანტურ თანამდებობაზე, მათ შორის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე გამოცხადდა ღია კონკურსი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აპელანტის მოთხოვნა დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ცვლილებები შეიტანოს მის მიერ გამოცემულ 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებაში და უნივერსიტეტის რექტორთან, სხვა მმართველ სუბიექტებთან შეთანხმებით გამოსცეს ახალი აქტი უნივერსიტეტის ყველა იმ დამხმარე საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოსაცხადებლად, რომლებზედაც კონკურსი არ გამოცხადებულა, დაუშვებელია და ამ ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან მოთხოვნა სადავო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე ისე, როგორც მოთხოვნა გარკვეულ სუბიექტებთან შეთანხმებით გამოსცეს ახალი აქტი, ყველა შემთხვევაში გულისხმობს აქტის გამოცემის დავალდებულებას, რადგან, სზაკ-ის 63.2 მუხლის თანახმად, აქტში ცვლილებები და დამატებები შეიტანება ისევე აქტის გამოცემით. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის პირველი ნაწილი მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებისათვის საქართველოს ასკ-ის 23-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, ასკ-ის 23.2 მუხლების თანახმად კი სარჩელი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე დასაშვებია თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი აქტის გამოცემის თაობაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამ სახის სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის კანონმდებელი აწესებს სავალდებულო პირობას, სახეზე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს უარი დაინტერესებული პირის მოთხოვნაზე გამოსცეს აქტი. დადგენილია, რომ აპელანტს აღნიშნული მოთხოვნით არ მიუმართავს უნივერსიტეტის არც ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, არც საკონკურსო და არც საპრეტენზიო კომისიისათვის. შესაბამისად მათ არც უარი უთქვამთ აქტის გამოცემაზე. ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის მოთხოვნით მიმართვად სასამართლო ვერ მიიჩნევს კონკურსის ჩატარების და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ ა. დ-მის მიერ გახეთ "...-ის" 2007 წლის 15 ნოემბრის #40 ნომერში პროტესტის ნიშნად გამოქვეყნებულ ღია წერილს. შესაბამისად, ვინაიდან არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს უარი აქტის გამოცემა-

ზე შეუძლებელია მსჯელობა სარჩელის დასაშვებობის მეორე აუცილებელ პირობაზე აქტის გამოუცემლობით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების საკითხებზე, მით უფრო პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანზე.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის მეორე ნაწილს –სსიპ შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის 476 ბრძანების ბათილად ცნობას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის (ხელმძღვანელის) 1 სამტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადების ნაწილში, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები დადგინდა ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივ შეფასების საკითხებთან დეკლარაციით და დამატებით მიუთითა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან. ამავე კანონის 15.1 მუხლის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამდენად, აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, აკადემიური საბჭოს სამდივნოს მუშაკები წარმოადგენენ დამხმარე პერსონალის კატეგორიას, რასაც არც მხარეები ხდიან სადაოდ.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უმაღლეს ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში და წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამავე კანონის 24.1 "გ", "დ" მუხლის თანახმად, სწორედ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კომპეტენციას განეკუთვნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურის შედგენა და დასამტკიცებლად წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენა, ასევე, როგორც დამხმარე პერსონალი სამსახურში მიღების წესის დადგენა და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2007 წლის 12 ივნისის #14 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი "დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი", რომლის 2.2 მუხლის თანახმად დამხმარე პერსონალს სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, დებს/წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, როგორც აკადემიური საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული პირი არ იყო უფლებამოსილი აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ სამდივნოს უფროსის თანამდებობა გამოეცხადებინა ვაკანტურად და მის დასაკავებლად გამოეცხადებინა კონკურსი, ვინაიდან რეგლამენტის მე-3 თავის მე-3 პუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, აკადემიური საბჭოს რეგლამენტის აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს და მის საფუძველზე გამოცემულ უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, ვინაიდან "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 21-ე მუხლის თანახმად, აკადემიური საბჭოს აღნიშნული უფლებამოსილება არ გააჩნია. ასეთ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა უნდა დარეგულირდეს კანონის ნორმების შესაბამისად. ამდენად, უსაფუძვლოა აპელანტის მსჯელობა, რომ აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა არაუფლებამოსილმა პირმა.

დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-2 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად პერსონალის სამსახურში მიღება შესაძლებელია ასევე განხორციელდეს კონკურსის წესით, რომლის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც აღნიშნულ წესებთან ერთად არეგულირებს უნივერსიტეტის პერსონალის შრომით ურთიერთობებს, მუშაკის სამსახურში მიღებას დასაშვებად მიიჩნევს უშუალოდ სათანადო უფლებამოსილი პირის მიერ დანიშვნით, ან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით, აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი გულისხმობს სწორედ უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ორივე წესს, ანუ კონკურსის გზით და დროებით, პირდაპირი დანიშვნით (შრომით ხელშეკრულებით).

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მითითებით, კანონით და მის საფუძველზე გამოცემული აქტებით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე 2007 წლის 10 ივნისის #252 ბრძანებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, დაწესებულების რეორგანიზაციისა და ახალი საშტატო განრიგის დამტკიცებასთან დაკავშირებით, დამხმარე პერსონალის სამსახურიდან დათხოვნის გამო, უნივერსიტეტის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, დათხოვნილი დამხმარე პერსონალის გარკვეულ კონტიგენტს დაეკისრა მოვალეობების დროებით შესრულება, ხოლო 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებით დარჩენილ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა კონკურსი. ამასთან, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი არ კრძალავს კონკურსის რამოდენიმე ეტაპად ჩატარების შესაძლებლობას დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკისა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის გათვალისწინებით. შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგება კანონს.

ასევე უსაფუძვლოა დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში მოყვანილი მსჯელობა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 2 მაისის #47 დადგენილება აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელად მოსარჩელის დანიშვნის შესახებ არავის გაუუქმებია და რომ აკადემიური საბჭოს იგი სამსახურიდან არ გაუთავისუფლებია, შესაბამისად, აღნიშნული თანამდებობა არც ვაკანტური იყო. სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმეში დაცულია უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 23 ივნისის #2-371 ბრძანება ა. დ-მის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომელიც აპელანტს არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, უსაფუძვლოა მსჯელობა, რომ თანამდებობა ვაკანტური არ იყო, მით უფრო, როდესაც აპელანტი აღნიშნულ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ პირად ანკეტურ მონაცემებში მიუთითებს, რომ აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსად მუშაობდა 2.05.07-დან 25.07.07-მდე.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-მ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სსიპ -შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის (ხელმძღვანელის) ერთ საშტატო ერთეულზე კონკურსის გამოცხადების ნაწილში, ბათილად ცნობას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. დ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორი ა. დ-მე შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ... (...) დაინიშნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილებით. უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 27 ივნისის #2-371 ბრძანებით ა. დ-მე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14, 22-ე მუხლების, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე, 38-ე მუხლებისა და უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 25 აპრილის #1-40 ბრძანების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 10 ივნისის #1252 ბრძანებით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, შრომის კანონთა კოდექსის 37-ე, 28-ე მუხლებისა და უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 25 აპრილის 1-40 ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალთან (დანართი 1-ით განსაზღვრულ პირებთან), მოიშალა შრომითი ურთიერთობა. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით, უნივერსიტეტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა ზოგიერთი დამხმარე მოსამსახურის დანიშვნა დროებით მოვალეობის შემსრულებლად, მათ შორის, არ დანიშნულან აკადემიური საბჭოს დამხმარე მოსამსახურეები.

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 სექტემბრის #476 ბრძანებით სსიპ -შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესის მე-6 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა ღია კონკურსი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მისაღებად ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ღია კონკურსი გამოცხადდა აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსის თანამდებობაზე, ანუ იმ თანამდებობაზე, რომელიც გათავისუფლებამდე ეკავა კასატორს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს და აღნიშნავს, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევსათვის არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტის არსებობას, კერძოდ, დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან - ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკის (ბიბლიოეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან. ამავე კანონის 15.1 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხოლო ამავე კანონის 32-ე მუხლის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

აღნიშნული კანონი ასევე განსაზღვრავს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ვაკანსიის დაკავების ერთიან წესებს. მოცემული კანონი აკადემიური თანამდებობის დაკავების აუცილებელ წინაპირობად ასახელებს ღია კონკურსს, რაც შეეხება დამხმარე პერსონალს, ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მისი სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს ადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შორის წირმოქმნილი დავა არის სამოქალაქო-სამართლებრივი და არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან, კერძოდ, კასატორის მიერ დაკავებული თანამდებობა განეკუთვნება დამხმარე პერსონალის კატეგორიას, კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და ეს უკანასკნელი მიღებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ შიდაორგანიზაციული ხასიათის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. მითითებული გარემოებები კი საკასაციო სასამართლოს ამლევს საფუძველს, დაასკვნას, რომ მოთხოვნა უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის შესაბამისად, ყველა პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. მითითებულმა პრინციპმა ასახვა ჰპოვა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომლის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმადაც, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და ექვემდებარება გაუქმებას. რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის, შემდგომი განხილვის მიზნით, განსჯადი სასამართლოსათვის დაქვემდებარებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

#ბს-537-508 (გ-09)

14 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 29 აგვისტოს მოსარჩელებმა -ზ. და გ. ფ-ძეებმა სარჩელი აღძრეს თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების -ქ. თბილისის მერიისა და მ. ჯ-შის მიმართ, რომლითაც თანხის ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა სა-კუთრების უფლებით რეგისტრირებულია მ. ჯ-შის სახელზე, 1/5-ი მთაწმინდის რაიონის სასა-მართლოს 10.12.1996 წლის #2/782 გადაწყვეტილების, ხოლო 4/5-ი -კალინინის რაიონის სასა-მართლოს 22.06.1987 წლის #2/407 გადაწყვეტილების საფუძველზე. 1985 წლის 1 ივნისს კა-ლინინის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული არასაცხოვრებელი ფართის გამანაწილებელი კომისიის დადგენილების თანახმად, ფ-ძეების ოჯახს გადაეცა მოქალაქე ლ-აიას მიერ გამოთავისუფლებული ბინა. ამავე კომისიის #27 ოქმის თანახმად, მოქალაქე ფ-ძეს დამატებით გამოეყო 12 კვ.მ ერთი ოთახი. მას მთლიანობაში მფლობელობაში გადაეცა 57,84 კვ.მ შენობა-ნაგებობა, განთავსებული 88,02 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. საქართველოს სსრ თბილისის კალინინის რაიონის სახალხო დეპუ-ტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის 30.03.87 წლის #ფ/3 ადმინისტრაციული აქტით, ზ. ფ-ძეს გადაეცა ნ. ფ-ძის სახელზე რიცხული 27 კვ.მ. ფარ-თი და იგი ჩაითვალა ძირითად დამქირავებლად. აღნიშნულ ბინაში რეგისტრირებული არიან მო-სარჩელები: ზ. ფ-ძე -1966 წლის 22 დეკემბრიდან, ხოლო გ. ფ-ძე -1986 წლის 30 დეკემ-ბრიდან.

მოსარჩელები ითხოვენ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთო-ბის შესახებ" კანონის შესაბამისად, სახელმწიფოსაგან კომპენსაციის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 თებერვლის განჩინებით მიჩნეულ იქნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო სახელმწიფოს მიმართ და შეეხებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრა-ციული ორგანოს ვალდებულებას, განეხორციელებინა სხვა რაიმე ქმედება -გაეცა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით განსაზღვრული კომ-პენსაცია. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების იმავე კანონით მოწესრიგება, რითაც წესრიგდება სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, ვერ გახ-დიდა აღნიშნულ დავას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად. სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის მოსაზრებით, საცხოვრებელ სადგომში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტით შესახლებულ პირებსა და მესაკუთრეთა შორის ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმე-ბი მოცემულია (ინკორპორირებულია) იმავე საკანონმდებლო აქტში, რომლითაც წესრიგდება კერძო სამართლის სუბიექტთა მსგავსი ურთიერთობა და არა ცალკე საკანონმდებლო აქტით, რაც უცი-ლობლად განაპირობებდა ამ სახის დავების ადმინისტრაციულ ხასიათს, ვერ გახდიდა დავას სამო-ქალაქო სამართლებრივ დავად. ამდენად, ზ. და გ. ფ-ძეების სარჩელი ქ. თბილისის მერიისა და მ. ჯ-შის მიმართ, კომპენსაციის გადახდის შესახებ, განსახილველად უნდა გადაეგზავნოდა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 მარტის განჩინებით მიჩნეულ იქნა, რომ საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნა განსჯა-

დობის წესების დაუცველად, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა განსჯადობის გამო სასამართლოებს შორის დავის დაწყების საფუძველს. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისათვის უნდა არსებულიყო მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის წინაპირობა, კერძოდ, დავის ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან მომდინარეობა, რასაც სადავო შემთხვევაში არ არსებობდა. მოსარჩელები მოითხოვდნენ ისეთი უფლების რეალიზებას, რომელიც გათვალისწინებული იყო კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს შეეძლო ცალკე საკანონმდებლო აქტით მოეწესრიგებინა მოსარგებლესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობა, რაც მას არ განუხორციელებია. ამასთან, არსებული რეალობიდან გამომდინარე, საკითხი მოწესრიგებული იყო კერძო სამართლის აქტით, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფომ, როგორც ვალდებულმა პირმა, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტების შინაარსის განსაზღვრით გამოხატა ნება, სახელმწიფოსა და მოსარგებლეს შორის ურთიერთობა მოეწესრიგებელიყო არა კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის ადმინისტრირების გზით და ისიც მხოლოდ დავის შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით, არამედ პირდაპირ - სასამართლოს მეშვეობით. ამავე მუხლების ანალიზისა და მათი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლთან ურთიერთშეჯერებით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ კომპენსაციის გაცემა არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული შინაარსის მოქმედებას, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტა იყო არა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება, არამედ განეკუთვნებოდა სასამართლოს კომპეტენციას და მოქმედი კანონის პირობებში (ანუ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტების საფუძველზე) სახელმწიფო მოსარგებლესთან ურთიერთობაში საკუთარ თავს მოიაზრებდა როგორც კერძო სამართლის სუბიექტს, რომლის წინააღმდეგ საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ გზას წარმოადგენდა სასამართლოში დავის აღძვრა, სხვა შემთხვევაში სახელმწიფო, საჯარო სამართლის აქტის გამოცემის გზით, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილისა, სადავო ურთიერთობებთან მიმართებაში, საკუთარ თავს, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტს (კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს სახით) მიანიჭებდა საკითხის ადმინისტრირების უფლებას, რაც მას არ გაუკუთებია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახეზეა სასამართლოთა შორის დავა საგნობრივი განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლებიდან. თავად კანონი წარმოადგენს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს. იმ დროს მოქმედი საბინაო სამართლის თანახმად, სადგომის მესაკუთრე კერძო პირსა და დამქირავებელს შორის, მიუხედავად ამ უკანასკნელის სადგომში ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესახლებისა, მყარდებოდა ქირავნობიდან მომდინარე ურთიერთობა. თავისთავად, საბინაო სამართალი ატარებდა კერძოსამართლებრივ ხასიათს, სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირება ხდებოდა მხოლოდ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელ პირთა აღრიცხვისა და კერძო პირის თანხმობით მის საკუთრებაში არსებულ გამონთავისუფლებულ ბინაში მათი შესახლებისას. ამდენად, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები ითვალისწინებენ მხარეთა შორის წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას. ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვის აუცილებლობა, კომპენსაციის გადახდის გზით, განაპირობა მხოლოდ ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი კანონმდებლობის თავისებურებამ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი მოიცავს დავათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა განხილვა ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაა. სასამართლო კომპეტენციის გამიჯვნისას, მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადაწყვეტისას. ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახლველი საქმე აღიძვრება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების (განუხორციელებლო-

ბის) მართებულობის დასადგენად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გასცეს კომპენსაცია, ვერ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან თავად მოქმედება (კომპენსაციის გაცემა) ემყარება კერძო სამართლის ნორმებს და არ წარმოადგენს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციას მხოლოდ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების აღსრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზ. და გ. ფ-ძეების სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ზ. და გ. ფ-ძეების სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1259-1203(გ-09) 22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებს შორის დავა სსიპ "ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 3 ივნისს სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე-შპს "გ და გ-ის" მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აქუციონის წესით საგარანტო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას, რომლის შედეგად ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტს" დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -18000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე შპს "გ და გ-ს" მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციული კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში

ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული კოლეგია ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე განმარტავდა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და შპს "გ და გ-ს" შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება, არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის - იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაპტენტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი სამოქალაქო კოლეგიის განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, "ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას".

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი - "სამტრესტი", რომლის კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალხმრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხმებულად, საერთო მიზნისაკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად და თუ სახეზე არ არის ორმხრივი ნება, შესაბამისად არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე, კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2004 წლის 3 დეკემბერს, ერთის მხრივ, სსიპ "ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "გ და გ-ს" (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის დადებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #10, რომლის თანახმადაც, შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებ-

ლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, გაეწია შემსყიდველისათვის ზემოაღნიშნული მომსახურება 18 000 ლარის ოდენობის თანხაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არის სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და ფიზიკურ პირს შორის 2004 წლის 3 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვების #10 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის #2-30 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია "სამტრესტის" უფლებამოსილებანი და საქმიანობის საგანი. აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა". სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, "ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერში გამარჯვებულ პირთან შპს "გ და გ-სთან" 2004 წლის 3 დეკემბერს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #10.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" მიერ დასახელებული ხელშეკრულების დასაბუთებლად გამოვლენილი ნება გარკვეულწილად შეზღუდულია და არ ემყარება სამოქალაქო სამართლის ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების დადების ნების თავისუფლებას, რამეთუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას და სწორედ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო მან ტენდერში გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებით, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და შპს „გ და გ-ს“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამასთან, დამატებით მიუთითა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო მოთხოვნა, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე, გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის შინაარსზე და მმართველობითი ფუნქციის განხორციელების მიზანი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიცხოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინის-

ტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლებად.

წინამდებარე შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტა" და შპს "გ და გ-ს" შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა საფუძველს, განსახილველი ხელშეკრულება მიეკუთვნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დავა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1260-1204(გ-09) 22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ა-ევმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ნოტარიუს ი. შ-ძის მიმართ და მოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუს ი. შ-ძის დადგენილების ბათილად ცნობა და ნოტარიუსისათვის მოქმედების შესრულების დავალდებულება შემდეგი საფუძველით:

2009 წლის 10 ივლისს ვ. ა-ვის წარმომადგენელმა მ. კ-ანმა განცხადებით მიმართა ნოტარიუს ი. შ-ძეს გარდაცვლილი ლ. ა-ვას სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის მოწმობის გაცემის თაობაზე, რაზეც ნოტარიუსის მიერ მოსარჩელეს 2009 წლის 10 ივლისის დადგენილებით ეთქვა უარი. სადავო დადგენილების თანახმად, ანდერძში გათვალისწინებულია მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებული ქონება. ანდერძის გარეთ დარჩენილი, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონება, ასევე არ არის დადგენილი კანონისმიერი მემკვიდრეობის წრე. შესაბამისად, დამატებით მოსარჩელის მიერ წარსადგენი იყო რუსეთის ფედერაციის ნოტარიუსის მიერ გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა მამკვიდრებლის ნებისმიერ ქონებაზე - აქტივებზე და პასივებზე.

მოსარჩელის მითითებით, ნოტარიუსის სადავო დადგენილება უკანონოა, ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1421.3 მუხლს, რის გამოც ექვემდებარებოდა გაუქმებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინებით ვლადიმერ ავდეევის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რადგან სადავო დადგენილება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტისა. სადავო სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, რის გამოც მოცემული საქმე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის თანახმად, განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაეცეს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 აგვისტოს განჩინებით ვ. ა-ვის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან "ნოტარიატის შესახებ" კანონის 1.1 თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის, სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში, სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ამავე კანონის 3.1 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწიფოებრივ, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად მიიჩნევა და მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარება.

სასამართლოს მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 7.3 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედებათა შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ვ. ა-ვის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე არასწორია და ვერ იქნება გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერ-

თობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალური თეორიებიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, სასარჩელო მოთხოვნა ნოტარიუსის დადგენილების (სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ) გაუქმება და ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რამდენადაც "ნოტარიატის შესახებ" კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ნოტარიუსის მიერ გაცემული დადგენილება სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ანუ ვ. ა-ვის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმა. სამემკვიდრეო ურთიერთობები რეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, შესაბამისად წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ნოტარიატის შესახებ" კანონი ნოტარიუსის სხვა უფლებამოსილებებთან ერთად განსაზღვრავს ნოტარიუსის უფლებამოსილებას, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, კერძოდ, მითითებული ნორმის 54-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, თუ სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტებს, შესაბამისად ნოტარიუსის მიერ მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის გადაწყვეტაზე უარი არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის წინაპირობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის საგანი - ნოტარიუსის მიერ ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე გამოტანილი გასაჩივრებული დადგენილება /სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ/ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტით დეფინირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ასეთად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსი არც ერთ შემთხვევაში არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, აწესრიგებს რა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, იგი კერძო სამართლის შემადგენელი ნაწილია, მით უფრო, რომ ნოტარიუსი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციული ორგანო თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, რამდენადაც სამართლის დოქტრინიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს განეკუთვნება ის, ვინც ასრულებს მმართველობით ფუნქციას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნოტარიუსი წარმოადგენს საჯარო ნდობის პროფესიას, მის მიერ კანონით მინიჭებულ სამართლებრივ ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება არ განეკუთვნება მმართველობით სფეროში განხორციელებულ ღონისძიებას, არ გააჩნია ადმინისტრაციული ორგანოსთვის დამახასიათებელი ელემენტები, რაც მას, როგორც ინსტიტუტს, მოაქცევდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დეფინიციამ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ ზემომითითებულ ელემენტს. შესაბამისად, დავა ფიზიკურ პირსა და ნოტარიუსს შორის დაკავშირებულია სამოქალაქო, კერძოდ, სამემკვიდრეო სამართალური თეორიებისათვის, რის გამოც არ არსებობს დავა, რომელიც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექვემდებარება განხილვას.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებას "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანების 7.3 მუხლზე. მითითებული ნორმის თანახმად, "ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილ-

სამყოფლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით". საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იუსტიციის მინისტრის მითითებულ ბრძანებაში ამგვარი დათქმის მიუხედავად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ვერ იქნება მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციას იძლევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ორი ელემენტის არსებობა -ნოტარიუსი არ არის ადმინისტრაციული ორგანო და სადავო სამართალურ-თიერთობა არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც სადავო დადგენილება არ ექვევება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალურ დეფინიციას.

საკასაციო სასამართლო "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 9.6 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ კოდექსი არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი, ამავე კანონის 10.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა. ამავე კანონის 17.2 მუხლის მიხედვით მინისტრის ბრძანებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, არ შეიძლება გადაწყდეს საკითხი, რომლის მოწესრიგებაც გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტით.

მოცემულ ვითარებაში მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ნოტარიუსის დადგენილების სამართლებრივი კვალიფიკაცია, რაც სრულ წინააღმდეგობაშია საკანონმდებლო აქტით -ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის ერთ-ერთი კლასიკური სახე -ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიცია მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს და იგი არ შეიძლება ცალკეულ ადმინისტრაციულ ორგანოთა ნორმათშემოქმედების საგანი გახდეს, ასევე, მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ნოტარიუსის დადგენილების გასაჩივრების სამართალწარმოების სახე, ანუ სასამართლოს იურისდიქცია, რაც ასევე უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომელიც თავის მხრივ, იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის დარღვევას. რამდენადაც მითითებული ნორმის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებულია დემოკრატიული რესპუბლიკა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას -საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მმართველობითი ორგანოს ნორმათშემოქმედების ფუნქცია უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ფუნქციაა მხოლოდ საკანონმდებლო აქტით მინიჭებული უფლებამოსილების და იურისდიქციის ჩარჩოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა სრულ სამართლებრივ ქაოსს და რისკის ქვეშ დადგებოდა სამართლებრივი უსაფრთხოების გაცნა, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობა, რაც უნდა გადაწყდეს საკანონმდებლო აქტისათვის -ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისათვის უპირატესობის მინიჭებით, როგორც იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი აქტისათვის, თანახმად "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 25.1 მუხლისა.

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას -განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ ადმინისტრაციული დავების განხილვაა დაშვებული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა სადავო სამართალურთიერთობას, მართებულად იმსჯელა, რომ მოცემული დავა არ არის დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. ვ. ა-ვის სარჩელი მოპასუხის -ნოტარიუს ი. შ-ძის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოთ მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო განსჯადობა**

**განჩინება**

#ბს-721-686(გ-09) 16 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" დირექტორმა დ. ს-მემ 2008 წლის 19 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2007 წლის 12 სექტემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშერულების საფუძველზე შპს "ფ.ტ.ტ. თბილისმა" რ. და ა. რ-უნებისგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ#47/40-ში. ამავე დღეს მხარეებს შორის შედგა უძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. მითითებულ ფართში, ცხოვრობდნენ მოსარგებლები ე.წ. "ასტუპნიკები". ერთ-ერთი მოსარგებლის ლ. ს-შვილის ბებია -თ. ს-შვილი საცხოვრებელ სახლში შესახლებულ იქნა ადმინისტრაციული აქტების -საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებისა და მის შესაბამისად გაცემული საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამართველოს 1950 წლის 28 მარტის #87 ორდერის საფუძველზე. მოსარჩელის განმარტებით, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, იმ მესაკუთრეს, რომლის საცხოვრებელ სადგომშიც ადმინისტრაციული აქტით შესახლებულ იქნა მოსარგებლე, შეუძლია მოსარგებლეს მოსთხოვოს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარგებლეს სახელმწიფო აუნაზღაურებს დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულებას. მოსარგებლე ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ კომპენსაციას სახელმწიფოსგან მიიღებს მესაკუთრის ან მოსარგებლის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მესაკუთრეს უფლება აქვს ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კომპენსაცია თავად აუნაზღაუროს მოსარგებლეს. ამ შემთხვევაში მესაკუთრე უფლებამოსილია სასამართლო წესით მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "ფ.ტ.ტ. თბილისმა", როგორც რ. და ა. რ-უნების უფლებამონაცვლემ და ქონების ამჟამინდელმა მესაკუთრემ, მითითებული კანონით განსაზღვრული მოსარგებლის -აწ. გარდაცვლილი თ. ს-შვილის უფლებამონაცვლეს ლ. ს-შვილს აუნაზღაურა ფულადი კომპენსაცია 50 000 აშშ დოლარის ოდენობით, ვინაიდან მის მიერ სარგებლობის უფლებით დაკავებული საცხოვრებელი ფართი შპს აუდიტორულმა ფირმა "კოოპაუდიტმა" 2007 წლის 5 დეკემბრის დასკვნით შეაფასა მითითებული თანხით. შპს "ფ.ტ.ტ. თბილისსა" და ლ. ს-შვილს შორის 2007 წლის 7 დეკემბერს შედგა შეთანხმება კომპენსაციის მიღ-

ბის შესახებ, ამავე დღეს მხარეებს შორის გაფორმდა თანხის გადაცემისა და ქონების გამოთავისუფლების აქტი.

მოსარჩელემ 2008 წლის 3 დეკემბერს კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაზეც ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 10 დეკემბრის ბრძანებით უარი ეთქვა იმ საფუძველზე, რომ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილია სასამართლო წესით მოითხოვოს მე-8 პუნქტით დადგენილი კომპენსაციის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 მარტის განჩინებით, შპს "ფ.ტ.ტ. თბილისი-ს" სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ფულადი კომპენსაციის გადახდის თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ სარჩელში მოთხოვნა მიმართულია კანონით პირდაპირ განსაზღვრული მოპასუხის -სახელმწიფოს მიმართ და დავა შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას განახორციელოს სხვა რაიმე ვალდებულება -გაცეს კანონით განსაზღვრული კომპენსაცია. ამ შემთხვევაში, თავად სამართლებრივი ხასიათი, რაც წარმოშობილია მოსარგებლესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის სპეციალური კანონითაა განსაზღვრული, ხოლო ის საკითხი, რომ ამავე კანონითაა მოწესრიგებული ისეთი კერძო სამართლის სხვა სუბიექტების (მესაკუთრე ფიზიკური პირების) ურთიერთობები, ვერ გახდის ამ კონკრეტულ დავას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავად. სახელმწიფოს შეემლო ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირების ურთიერთობები ცალკე საკანონმდებლო აქტით მოწესრიგებინა და მაშინ ეს ურთიერთობები უცილობლად ადმინისტრაციული დავის საგანი იქნებოდა. ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირებისა და მესაკუთრეთა ურთიერთობები მოწესრიგებულია იმ საკანონმდებლო აქტით, რომლითაც ამავდროულად წესრიგდება კერძო სამართლის სუბიექტთა მსგავსი ხასიათის ურთიერთობა, ვერ გახდის ადმინისტრაციული აქტით შესახლებული პირების დავას სამოქალაქო სამართლებრივ დავად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მესაკუთრის -კერძო სამართლის იურიდიული პირის -შპს "ფტტ თბილისის" მიერ მოსარგებლისთვის -ლია სკამკოჩაშვილისთვის ანაზღაურებული კომპენსაციის თანხის დაკისრება სახელმწიფოსთვის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, თანახმად "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა. ნათელია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და არ დასტურდება მხარეებს შორის ურთიერთდაქვემდებარებაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობა.

სასამართლოს აზრით, ტერმინში "განახორციელოს სხვა რაიმე ქმედება" იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება. ამდენად, ის გარემოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძო-სამართლებრივ ხასიათს და ვერ განაპირობებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვას. მოცემულ შემ-

თხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება – გასცეს კომპენსაცია არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან, ვალდებულება წარმოშობილია "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის ურთიერთობებს და განეკუთვნება კერძო სამართლის სფეროს, შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დავის სამართლებრივ ხასიათს, ასევე, ვერ შეცვლის ის გარემოება, რომ მოსარგებლები სადავო ფართში შესახლებული იყვნენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ვინაიდან სადავოდ არ არის გამხდარი შესახლების აქტი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ესაა დავა სასამართლოთა შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლებიდან. თავად კანონი წარმოადგენს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს. იმ დროს მოქმედი საბინაო კოდექსის თანახმად, სადგომის მესაკუთრე კერძო პირსა და დამკირავებელს შორის, მიუხედავად ამ უკანასკნელის სადგომში ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით შესახლებისა, მყარდებოდა ქირავნობიდან მომდინარე ურთიერთობა. თავისთავად, საბინაო სამართალი ატარებდა კერძო-სამართლებრივ ხასიათს, სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირება ხდებოდა მხოლოდ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელ პირთა აღრიცხვისა და კერძო პირის თანხმობით მის საკუთრებაში არსებულ გამონთავისუფლებულ ბინაში შესახლებისას. ამდენად, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები ითვალისწინებენ მხარეთა შორის წარმოშობილი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას. ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვის აუცილებლობა, კომპენსაციის გადახდის გზით, განაპირობა მხოლოდ ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი კანონმდებლობის თავისებურებამ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი მოიცავს დავათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა განხილვა ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაა. სასამართლო კომპეტენციის გამიჯვნისას, მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული დავის გადაწყვეტისას. ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახლველი საქმე აღიძვრება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების (განუხორციელებლობის) მართებულობის დასადგენად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გასცეს კომპენსაცია, ვერ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან თავად მოქმედება (კომპენსაციის გაცემა) ემყარება კერძო სამართლის ნორმებს და არ წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქცია მხოლოდ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების აღსრულებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს "ფ.ტ.ტ. თბილისის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

#ბს-1261-1205(გ-09) 19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 28 ივნისს მოსარჩელეებმა – ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის და სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" წევრებმა – გ. ა-ძემ, ბ. ო-ძემ და ი. შ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 1993 წლის 19 ივლისს მათ მიმართეს ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის მშენებლობის ნებართვის შესახებ, რომელიც 1993 წლის 6 ივლისის ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის #141 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის გადაწყვეტილებით დამტკიცდა 1993 წლის 19 ივლისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" წევრთა საერთო კრების სხდომის #1 ოქმი, რომლის საფუძველზეც მიიღეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესდება, აირჩიეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გამგეობის წევრები შემდეგი შემადგენლობით: ბ. ო-ძე, გ. ა-ძე და ი. შ-შვილი. მათ გადაწყვიტეს, ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" სახელზე აღრიცხულ მიწის ნაკვეთზე აეგოთ საცხოვრებელი სახლი და მიმართეს სხვადასხვა ორგანოებს. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ 2006 წლის 1 ივნისის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის #1962 მომართვის თანახმად ეცნობათ, რომ ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 2003 წლის 8 მაისის #58 დადგენილებით ჭავჭავაძის ქ. #121-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ბინათმშენებლობა "აკადემიაზე", ფაქტობრივად ამავე დადგენილებითვე იქნა გამოყოფილი 3 300 კვ.მ, ხოლო 2002 წლის 20 მაისის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დადგინდა, რომ ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის და ერას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" საკუთრების საფუძველია ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილება და ქ. ბათუმის 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 დადგენილება, ამასთანავე 2002 წლის 20 მაისს გაცემული საკადასტრო რუკით 630 კვ.მ-ზე მესაკუთრედ აღინიშნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემია".

მოსარჩელეთა განმარტებით, მათთვის 2006 წლის 7 ივნისის ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის მომართვის საფუძველზე, რომლის დროსაც გადაეცათ ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილების ქსეროასლი თანდართული მასალებით, ცნობილი გახდა, რომ 1993 წლის 6 ივლისის #141 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 გადაწყვეტილება ძალდაკარგულად გამოცხადდა. ასევე ცნობილი გახდა, რომ 2001 წლის 25 აპრილის ერთერთი ოქმით დადგინდა, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" გამგეობის სხდომა შედგა 2001 წლის 25 აპრილს, რომელსაც ესწრებოდა 36 წევრი. სხდომის დღის წესრიგს წარმოადგენდა საინიციატივო ჯგუფის გაუქმება, ასევე გამგეობის თავმჯდომარისა და ხაზინადარის არჩევა. სხდომაზე მოსმენილ იქნა შემდეგი წინადადებები, კერძოდ, საინიციატივო ჯგუფი უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან ისინი აღარ იყვნენ აკადემიის თანამშრომლები და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის თავმჯდომარედ ჯ. ბ-ძის, ხოლო ხაზინადარად მ. შ-ძის კანდიდატურები დასახელდა, რაც ამავე ოქმით დაკმაყოფილდა, მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი მეორე 2001 წლის 25 აპრილის #1 ოქმით დგინდება, რომ ის ჩატარდა იმავე დღეს, ესწრებოდნენ იგივე წევრები, თავმჯდომარე და მდივანი იყვნენ იგივე პირები, მხოლოდ დღის წესრიგში იყო განსხვავება. განხილულ იქნა თავმჯდომარისა და ხაზინადარის კანდიდატურები, საინიციატივო ჯგუფის გაუქმებაზე კი არაფერი თქმულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" გამგეობის სხდომის 2001 წლის 25 აპრილის #1 ოქმის, ასევე 2002 წლის 13 მაისის ქ. ბათუმის მერიის #109 დადგენილების, ქ. ბათუმის 2003 წლის 8 მაისის #58 დადგენილების, ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 ივნისის #173 დადგენილების მეორე ნაწილის ბათილად ცნობა, ხოლო შესაბამისად, ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 6 ივნისის #141 და 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 დადგენილებების ძალაში დატოვება, ამასთანავე საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის დავალებულება, გაეტარებინა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა აკადემიის საკუთრება ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 6 ივნისის #141 და 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 დადგენილებების შესაბამისად.

2006 წლის 25 ივლისს მოსარჩელებმა წარადგინეს დამატებითი სასარჩელო განცხადება, თანამოპასუხედ მიუთითეს ასევე ბინათმშენებლობა "აკადემიის" თავმჯდომარე ჯ. ბ-ძე და დამატებით მოითხოვეს 2001 წლის 30 აპრილის საინიციატივო ჯგუფის მიერ დამტკიცებული ერთობლივი საქმიანობის დებულების ბათილად ცნობა, ხოლო იმავე წლის 1 დეკემბერს შეტანილი დამატებით სასარჩელო განცხადებით მოითხოვეს ბათილად ეცნოთ ქ. ბათუმის 2006 წლის 18 ივლისის #203 დადგენილება თანმდევი შედეგებით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აგვისტოს საოქმო განჩინებით მოსარჩელების შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა; ბინათმშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" გამგეობის წევრების: გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სარჩელი 2006 წლის 6 ოქტომბრის და 2006 წლის 13 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში დატოვებულ იქნა განუხილველად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ა-ძემ, ბ. ო-ძემ და ი. შ-შვილმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინებით, ბ. ო-ძის, გ. ა-ძისა და ი. შ-შვილის სარჩელისა გამო ქ. ბათუმის მერიის, ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და ბინათმშენებლობა "აკადემიის" თავმჯდომარის ჯ. ბ-ძის მიმართ, ცალკე წარმოებად გამოიყო სასარჩელო მოთხოვნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" გამგეობის სხდომის 2001 წლის 21 აპრილით დათარიღებული ორი ოქმის, 2001 წლის 30 აპრილის საინიციატივო ჯგუფის მიერ დამტკიცებული ერთობლივი საქმიანობის დებულებისა და ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და იგი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი საქმე მითითებულ ნაწილში არ იყო დაკავშირებული იმ სახის სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დებულება სამართლებრივი აქტი იყო, მაგრამ იგი თავისი შინაარსით კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. აღნიშნულით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამხანაგობის კრების ოქმის დამტკიცების შესახებ მიღებული მერიის კაბინეტის გადაწყვეტილება, შესაბამისად, სადავო აქტი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით მიჩნეული იყო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და რომლის კანონშესაბამისობის შემოწმებაც, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლი 17 სექტემბრის განჩინებით აღნიშნული საქმე ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური მშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" წევრების: გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სააპელაციო საჩივრის გამო, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებაზე, ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილების ბათილად ცნობის, აკადემიის გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის ხდომის ორი ოქმისა და ერთობლივი საქმიანობის 2001 წლის 30 აპრილის დებულების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობის

შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციული აქტიდან და სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა იყო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სრულად შეესაბამებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რაც განაპირობებდა დავის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ბუნებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული დავა პროცესუალური წესების მიხედვით იმიტომ განიხილებოდა, რომ საქმეს ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმა ჰქონდა და მას ადმინისტრაციული დავის ფორმა გააჩნდა. მოცემულ შემთხვევაში მერიის აქტი მიღებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და მომზადების ადმინისტრაციული წესების გათვალისწინებით, შესაბამისად, მისი ბათილად ცნობა უნდა მომხადრიყო ადმინისტრაციულ-პროცესუალური წესით და არა სამოქალაქო-პროცესუალური წესით.

გარდა ამისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გარდა დავის საგანს წარმოადგენდა აკადემიის გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმებისა და ერთობლივი საქმიანობის 2001 წლის 30 აპრილის დებულების ბათილად ცნობა, რაც თავისი ბუნებით სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, მაგრამ იმ მოტივით, რომ მითითებულ საქმეზე უკვე მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომლის განხილვაც გარკვეულწილად დაკავშირებული იყო მითითებულ დავასთან, ხოლო მოცემული მოთხოვნები კი ერთხელ უკვე გამოეყო ადმინისტრაციულ საქმეს, ასევე მართლმსაჯულების სწრაფი და დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებისა და ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავასთან არსებული სამოქალაქო საქმე მთლიანად უნდა განეხილა ადმინისტრაციულ პალატას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სასარჩელო მოთხოვნების ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისი #109 დადგენილების, აკადემიის გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის ხდომის ორი ოქმისა და ერთობლივი საქმიანობის 2001 წლის 30 აპრილის დებულების ბათილად ცნობის შესახებ განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დასახელებული მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ, დავის საგანი.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ 1993 წლის 6 ივლისის #141 გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის კაბინეტმა საინიციატივო ჯგუფს ქ. ბათუმში, ჯავახიშვილისა და იბერიის ქუჩების მიმდებარე კვარტალში გამოუყო მიწის ნაკვეთი ამხანაგური ერთსადარბაზოიანი, შვიდ სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. 1993 წლის 19 ივლისის

ჩატარდა ბინათმშენებლობის წევრთა საერთო კრება მიღებულ იქნა წესდება. არჩეულ იქნა გამგეობა შემდეგი შემადგენლობით - ბ. ო-ძე, გ. ა-ძე, ი. შ-შვილი. აღნიშნულზე შედგა #1 ოქმი, რაც დამტკიცდა ბათუმის მერიის 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 გადაწყვეტილებით. 2001 წლის 25 აპრილის #1 ოქმითა და იმავე თარიღის, იმავე ნომრის ოქმით გაუქმებულად ჩაითვალა საინიციატივო ჯგუფის ძველი შემადგენლობა და დამტკიცდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარე და ხაზინადარი. ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1993 წლის 5 ოქტომბრის #345 გადაწყვეტილება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა "აკადემიის" წევრთა საერთო კრების 1993 წლის 19 ივლისის #1 სხდომის ოქმის დამტკიცების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, მართალია, ქ. ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილება სამართლებრივი აქტია, მაგრამ იგი თავისი შინაარსით კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. აღნიშნულით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამხანაგობის კრების ოქმის დამტკიცების შესახებ მიღებული მერიის კაბინეტის გადაწყვეტილება, შესაბამისად, სადავო აქტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამიტომაც, მისი შემოწმება სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი არ შეიძლება იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა პალატას მოსაზრებას ხსენებული სასარჩელო მოთხოვნების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავა და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ იმ პრინციპის დაცვით, რასაც განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური მშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" წევრების: გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სააპელაციო საჩივრის გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური მშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" მიმართ, ბათუმის მერიის 2002 წლის 13 მაისის #109 დადგენილების ბათილად ცნობის, აკადემიის გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის ხდომის ორი ოქმისა და ერთობლივი საქმიანობის 2001 წლის 30 აპრილის დებულების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქმე ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური მშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" წევრების: გ. ა-ძის, ბ. ო-ძისა და ი. შ-შვილის სააპელაციო საჩივრის გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სანაოსნოს მუშაკთა მრავალბინიანი ინდივიდუალური მშენებლობის ამხანაგობა "აკადემიის" მიმართ, ბათუმის მერიის 2002 წლის 13

მაისი #109 დადგენილების ბათილად ცნობის, აკადემიის გამგეობის 2001 წლის 25 აპრილის ხდომის ორი ოქმისა და ერთობლივი საქმიანობის 2001 წლის 30 აპრილის დებულების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამოქალაქო განსჯადობა

### განჩინება

#ბს-1459-1393(გ-09)

25 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებს შორის დავა სსიპ "ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 ივნისს სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - ვ. ქ-შვილის მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით და სავალისწინებელი თანხის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის - იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას, რომლის შედეგად ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტს" დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -13000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ივნისის განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე ვ. ქ-შვილის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციული კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული კოლეგია ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე განმარტავდა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე, კერძო-სამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და ვ. ქ-შვილს შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება, არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის

ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის - იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი სამოქალაქო კოლეგიის განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი კატეგორიის ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს განმარტებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" მიერ აღძრულია სარჩელი იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, რომლითაც მის მიერ განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვა - ვ. ქ-შვილის მხრიდან გარკვეული მომსახურების მიღების სახით. აღნიშნულ დავაზე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად არსებითაა, გაირკვეს, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" მიერ ეს ხელშეკრულება დადებულია თუ არა მისი უშუალო საჯარო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, "სამტრესტი" იქმნება "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას. ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კი "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულირება და დარგის განვითარების ხელშეწყობა.

ამდენად, ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც "სამტრესტი" ახორციელებს მისი საქმიანობის ძირითადი საგნის ფარგლებში (დარგის რეგულირება და განვითარების ხელშეწყობა), ერთნაირად წარმოადგენს მოსარჩელის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას ანუ ამ შემთხვევაში ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების განაშენიანების მომსახურების შესყიდვისას სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და უშუალოდ ამ მიზნით არის დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაც ვ. ქ-შვილთან.

ვინაიდან, მოსარჩელე სადავო თანხების ანაზღაურებას ითხოვს სწორედ ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე, 2004 წლის 2 დეკემბერს მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #22 ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიცხოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნორმათა ანალიზს, რომე-

ლიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შე-  
სამღებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედაგად, შემოღებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება, განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლებად.

წინამდებარე შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" და შპს ვ. ქ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაემწებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა საფუძველს, განსახილველი ხელშეკრულება მიეკუთვნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დავა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1004-962(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

22.08.07წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -ი/მ ც. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტს" დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -5626 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.12.08წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე ი/მ ც. მ-შვილის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობით ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. აღნიშნულის საფუძველზე, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" ადმინისტრაციული ორგანოა, იმავე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" მიერ დადებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხელშეკრულება დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რომელიც მას მინიჭებული აქვს "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" დებულების მე-2 მუხლის შესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", რაც მის საჯარო უფლებამოსილებას წარმოადგენს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ რადგან სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სასარჩელო განცხადებით დავის საგანი არ გამოდინარეობს კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან, აღნიშნული დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.02.09წ. გადაწყვეტილებით, სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი დაკმაყოფილდა, ი/მ ც. მ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5626 ლარის გადახდა, თანხის დაფარვის მიზნით, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება -მცხეთის რაიონში, სოფ. მუხათწყაროში მდებარე 0,12 ჰა მიწის ნაკვეთი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრა ი/მ ც. მ-შვილმა და მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.09წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის გზით თანხის დაბრუნება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული დავის საგანს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.06.09წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით

ბის დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, "ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს", ამდენად, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

პალატამ მიუთითა, რომ დავის ბუნების გარკვევისათვის უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დავის მონაწილე სამართალსუბიექტები (თუმცა აღნიშნული ადმინისტრაციული დავის მახასიათებელი ერთ-ერთი კომპონენტია), არამედ, აგრეთვე, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი, კერძოდ ის თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავის საგანი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ-ის მიერ ინდ. მეწარმესთან გაფორმებული ხელშეკრულება დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. აღნიშნული მოსაზრება დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტის" დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა. პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საგანი -ვაზის გარკვეული ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურება, პირდაპირ კავშირშია "სამტრესტის" საჯარო-სამართლებრივ ფუნქციასთან, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნა, სააპელაციო პალატის აზრით, გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შინაარსზე, ვინაიდან იპოთეკა წარმოადგენდა მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ხოლო თავად ხელშეკრულების შინაარსი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, დავის საგნობრივი განსჯადობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად განსჯადობით განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა დაექვემდებაროს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი -"სამტრესტი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა" ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება

საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის 30.06.09წ. განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სსიპ \_ის და ინდივიდუალურ მეწარმეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და ი/მ ც. მ-შვილს შორის დადებული 03.12.04წ. #9 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის ჯიშების ("ჩინური", "თავკვერი") ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 5626 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 03.12.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სსკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სზაკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ვინაიდან დავა აღძრულია კანონმდებლობაში ადმინისტრაციული გარიგების ნაცვლად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღების შემდეგ, განსახილველი დავის განსჯადობის საკითხზე გავლენას ვერ იქონიებს სსკ-ის 35-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებისა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-2, მე-2, მე-5, 25<sup>1</sup>, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტის" სარჩელის გამო საქმე ი/მ ც. მ-შვილის წინააღმდეგ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

#ბს-1258-1202(გ-09)

2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ - "ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

29.05.09წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -თ. ც-ძის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად დეპარტამენტს დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -15 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 01.06.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე თ. ც-ძის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო -სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამოჯენა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტა" და თ. ც-ძეს შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.07.09წ. განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მელვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი", რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" სზაკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე, კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინდა, რომ 30.11.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტა" და თ. ც-ძეს შორის დაიდო სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #3, რომლის თანახმადაც, შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, გაუწიოს შემსყიდველს 15 000 ლარის ზემოაღნიშნული მომსახურება. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არის სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის 30.11.04წ. დადებული სახელმწიფო შესყიდვების #3 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" დებულების მე-2 მუხლის მესამე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, "ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერში გამარჯვებულ პირთან თ. ც-მესთან 30.11.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #3 ხელშეკრულება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ხელშეკრულების დასადებად გამოვლენილი ნება გარკვეულწილად შეზღუდულია და არ ემყარება სამოქალაქო სამართლის ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების დადების ნების თავისუფლებას, ამდენად, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას და სწორედ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო მან ტენდერში გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და თ. ც-მეს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ის დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე -გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის შინაარსზე და მმართველობითი ფუნქციის განხორციელების მიზანი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მელვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის

დეპარტამენტი "სამტრესტი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს, დებულების თანახმად, შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და თ. ც-მეს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 30.11.04წ. დადებული #3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 15000 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 30.11.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის -15000 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სზაკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ვინაიდან დავა აღძრულია კანონმდებლობაში ადმინისტრაციული გარიგების ნაცვლად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღების შემდეგ, განსახილველი დავის განსჯადობის საკითხზე გავლენას ვერ მოახდენს სასკ-ის 35-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებისა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის მიმდინარეობს დავა საგნობრივი და არა ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე, რის გამო საკასაციო სასამართლო იქონიებს მსჯელობას განსახილველი დავის მხოლოდ საგნობრივ განსჯადობაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25<sup>1</sup>, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სამოქალაქო განსჯადობა**

#### **განჩინება**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა****შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),****ნ. ქადაგიძე,****ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ -"ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

03.06.09წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე -მ. ხ-იას მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად დეპარტამენტს დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა -30 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე მ. ხ-იას მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო -სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე, კერძო-სამართლებრივი ფორმები, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და მ. ხ-იას შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.11.09წ. განჩინებით სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

"ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი", რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" სზაკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ადმი-

ნისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინდა, რომ 03.12.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტა" და მ. ხ-ის შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება #14, რომლის თანახმადც შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 30 000 ლარის ოდენობის თანხაზე. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არის სწორედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის 03.12.04წ. დადებული სახელმწიფო შესყიდვების #14 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" დებულების მე-2 მუხლის მესამე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, "ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგით ვენახების გაშენების" ტენდერში გამარჯვებულ პირთან მ. ხ-ისთან 03.12.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #14 ხელშეკრულება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ხელშეკრულების დასადგენად გამოვლენილი ნება გარკვეულწილად შეზღუდულია და არ ემყარება სამოქალაქო სამართლის ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების დადების ნების თავისუფლებას, ამდენად, ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას და სწორედ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო მან ტენდერში გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და მ. ხ-ის შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ის დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნების თაობაზე -გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის შინაარსზე და მმართველობითი ფუნქციის განხორციელების მიზანი აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობი-

ლი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვე-პუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტა" და მ. ხ-იას შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 03.12.04წ. დადებული #14 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 30 000 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 06.12.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის -30 000 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სსკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სზაკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, სზაკ-ის 65<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ვინაიდან დავა აღძრულია კანონმდებლობაში ადმინისტრაციული გარიგების ნაცვლად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღების შემდეგ, განსახილველი დავის განსჯადობის საკითხზე გავლენას ვერ მოახდენს სსკ-ის 35-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებისა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25<sup>1</sup>, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე მ. ხ-იას მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განჩინება

#ბს-1578-1507(გ-09)

2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

01.06.09წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა "სამტრესტმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე -შპს "ოქროს ხვანჭკარას" მიმართ და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სამოქალაქო კოდექსის მე-300 და 301-ე მუხლების საფუძველზე, აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია მოითხოვა, რომლის შედეგადაც დეპარტამენტს დაუბრუნდება მის მიერ გადარიცხული თანხა -34 996 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.06.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხე შპს "ოქროს ხვანჭკარას" მიმართ, საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, მათ შორის დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთა გამოიყენება ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით არის შესაძლებელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და შპს "ოქროს ხვანჭკარას" შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სამართალურთიერთობა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.11.09წ. განჩინებით სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი შპს "ოქროს ხვანჭკარას" მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს 02.12.04წ. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და შპს "ოქროს ხვანჭკარას" შორის დადებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #12 ხელშეკრულებას, რომლის თანახმად შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება. მიმწოდებლის სატენდერო წინადადების თანახმად, მან იკისრა ვალდებულება გაეწია შემსყიდველისათვის 34 996 ლარის ღირებულების მომსახურება. "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის 3<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი - "სამტრესტი", რომელიც სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს და საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 14.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტის" დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია "სამტრესტის" უფლებამოსილებანი და საქმიანობის საგანი. დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად "სამტრესტის" საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დადებულია ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, დავის საგანს შეადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება, სარჩელის საგანი არ გამოდინარეობს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან და სასკ-ის 2.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნას განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის მიმდინარეობს დავა საგნობრივი და არა ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო იქონიებს მსჯელობას განსახილველი დავის მხოლოდ საგნობრივ განსჯადობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, რადგან აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი" სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის "ზ" ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ "ვაზისა და ღვინის შესახებ" კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მურნეობისა და სურსათის მინისტრის 11.02.03წ. #2-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი", რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად შეადგენს "დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა", ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტსა" და შპს "ოქროს ხვანჭკარას" შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე შპს "ოქროს ხვანჭკარამ" იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ("ალექსანდროული", "მუჯურეთული") ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ ტენდერის შედეგად 02.12.04წ. დადებული #12 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 34 996 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 02.12.04წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის -იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ -ვაზისა და

ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტის" მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის -34996 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძვლად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25<sup>1</sup>, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ -ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" სარჩელი მოპასუხის -შპს "ოქროს ხვანჭკარა"-ს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამოქალაქო განსჯადობა**

**განჩინება**

#ბს-1461-1395(გ-09) 17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 5 სექტემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -ინდივიდუალური საწარმო "პანაცეას" მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ ვაშლის შეუფერხებელი რეალიზაციისთვის საქართველოს მთავრობის სარევიზიო ფონდიდან "სესხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 ოქტომბრის #602 განკარგულებით განისაზღვრა, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან ვაშლის შესყიდვის მიზნით საკრედიტო რესურსად უნდა გამოყოფილიყო 800 000 ლარი წლიური 8%-ის სარგებლის დარიცხვით. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2007 წლის 19 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალურ საწარმო "პანაცეას" შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ინდ. საწარმო "პანაცეას" გამოეყო სესხი 800 000 ლარის ოდენობით. თანდართული გრაფიკის შესაბამისად განისაზღვრა სესხისა და მასზე დარიცხული სარგებლის დაბრუნების დრო. მოსარჩელის განმარტებით, იმის გამო, რომ ინდ. საწარმო "პანაცეა" არაჯეროვნად ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა მოპასუხეზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 372 259 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია.

2008 წლის 23 დეკემბერს ი/ს "პანაცეამ" შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

შეგებებული სარჩელის ავტორმა განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ისევე, როგორც საქართველოს მთავრობამ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყვეს საპასუხო მოქმედების განხორციელება, ანუ მოსარჩელის ტერიტორიაზე ვაშლის შესყიდვა, ვინაიდან ტერიტორია ამჟამად დროებით ოკუპირებულია უცხო სახელმწიფოს მიერ. შეგებებული სარჩელის ავტორმა აღნიშნა, რომ მას უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ვალდებულების შესრულებაზე, ვიდრე არ იქნებოდა შესრულებული შესაბამისი საპასუხო მოქმედება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ. შესაბამისად, მოითხოვა მოპასუხეებისათვის შეცვლილ გარემოებებზე ხელშეკრულების მისადაგების დავალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ი/ს "პანაცეას" შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს მთავრობა.

ინდივიდუალურმა საწარმომ "პანაცეამ" კერძო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით ი/ს "პანაცეას" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება და საქმე შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2009 წლის 21 მაისს შეგებებული სარჩელის ავტორმა დააზუსტა მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა, საქართველოს მთავრობას დავალდებოდა 2007 წლის 17 ოქტომბრის #602 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და ვაშლის შესყიდვის არეალი გაზრდილიყო შემდეგნაირად: "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობა, მათ შორის, დევნილები", ასევე მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას მიესადაგებინათ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს ვადებისა და სხვა პირობების კორექტირების მიზნით, მათ შორის არეალის გაფართოების მხრივ ნაცვლად "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა" ჩაწერილიყო "ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობისა, მათ შორის დევნილები" და განეცხადებინათ თანხმობა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესაცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განჩინებით ინდ. საწარმო "პანაცეას" სასარჩელო მოთხოვნა -დავალდებოდა საქართველოს მთავრობას 2007 წლის 17 ოქტომბრის #602 განკარგულებაში ცვლილების შეტანა -დაუშვებლად იქნა ცნობილი და საქმის წარმოება შეგებებული სარჩელის ამ ნაწილში შეწყდა. ამავე განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ინდ. საწარმო "პანაცეას" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, ასევე ინდივიდუალური საწარმო "პანაცეას" შეგებებული სარჩელი, მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიმართ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებათა მისადაგებისა და ხელშეკრულების შესაცვლელად თანხმობის დავალდებულების თაობაზე გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალური საწარმო "პანაცეას" შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრუ-

ლების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხის –ინდივიდუალური საწარმო “პანაცეას” მიმართა თანხის დაკისრების შესახებ, ასევე ინდივიდუალური საწარმო “პანაცეას” შეგებებული სარჩელი მოპასუხეების –საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიმართ ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებისა და ხელშეკრულების შესაცვლელად თანხმობის დავალდებულების თაობაზე თანდართული მასალებით, გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, სწორედ უშუალო საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების –კონკრეტული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელების მიზნით იქნა დადებული აღნიშნული სადავო ხელშეკრულება, შესაბამისად ხსენებული ხელშეკრულების შესრულების საკითხთან დაკავშირებით იყო აღძრული სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო შეგებებული სარჩელი ი/ს “პანაცეას” მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამრიგად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო დავას, შესაბამისად იგი მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე ნორმის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგ-

რეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებით დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდ. საწარმო "პანაცეასა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ი/ს "პანაცეამ" იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ, საკრედიტო რესურსად გამოყოფილი 800 000 ლარი გაიცა ინდივიდუალურ საწარმო "პანაცეაზე" -ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისგან ვაშლის შესყიდვის მიზნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნა უნდა განხორციელდეს კონკრეტული ხელშეკრულებათა მიზნის დადების გზით.

საკასაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციასა და ინდივიდუალური საწარმო "პანაცეას" შორის დადებული სესხის ხელშეკრულება, არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის ანაზღაურების ვალდებულება, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან კონტრაჰენტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. გარდა ამისა, შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ზემოხსენებული ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებათა მისადაგების დავალდებულება, რაც ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ი/ს "პანაცეას" სარჩელის გამო, მოპასუხეების -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების დავალდებულების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.